ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 10 თებერვალი, 2016 №33 (6959) ფასი: 50 თეთრი

9 თებერვლიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

საქართველოს გეოგრაფიული ატლასი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

მედიკამენტები 30%-ით გაიაფდება გვ. 6

შეცვლის თუ არა გიორგი კვირიკაშვილს ირაკლი რუხაძე

გიგლა ბარამიძე: „ხელისუფლებამ კორუფციის ახალი ფორმა დაამკვიდრა“ გვ.3

ირაკლი რუხაძე: „კოტე გოგელია 9,5 მილიონს ითხოვდა“

გვ.2

მაკა ასათიანი: „წილის გაყიდვას არ ვაპირებ“

თორნიკე შარაშენიძე: „მაკი ნატოში გაწევრიანების აუცილებელ ეტაპად რჩება“

გვ.4

არის თუ არა კორუფცია სასამართლოში?!

გელა ნიკოლაიშვილი: „გამამართლებელმა განაჩენებმა მკვეთრად იმატა“

გვ.5

თიბილოვი ფატუ ბენსუდას უნდობლობას უცხადებს

გვ.5

„ჩვენი ნატოში შესვლა რუსეთის დასუსტებასთან არის დაკავშირებული“

გვ.4

სუს-ის უფროსი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს შეხვდა

გვ.3

ISSN 1987-9385

ირაკლი რუხაძე: „კოტე გოგელია 9,5 მილიონს ითხოვდა“

მაკა ასათიანი: „წილის გაყიდვას არ ვაპირებ“

ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ მოვლენები კვლავ სწრაფად ვითარდება.

– ლევან გაჩეჩილაძის „მაესტროს“ დირექტორად დარეგისტრირება დაჩქარებული წესით მოხდება, რისთვისაც განსაზღვრული თანხაა გადახდილი, – განაცხადა გუშინ, 9 თებერვალს, ლევან გაჩეჩილაძემ საჯარო რეესტრთან.

მისი თქმით, დარეგისტრირების პროცესი უკვე დაწყებულია.

– განაცხადი შევიდა, დაჩქარებული წესით მოხდება რეგისტრაცია მეურვის ნებართვის შემდეგ. როდის იქნება გადაწყვეტილება მიღებული, ეს უნდა ჰკითხოთ საჯარო რეესტრს. ყველა საბუთი წესრიგშია, მეურვემ ხელი მოაწერა „მაესტროს“ პარტნიორთა კრების ოქმს და საბუთები დასარეგისტრირებლად შევიდა, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

მისივე თქმით, ის აუცილებლად შეხვდება „მაესტროს“ თანამშრომლებს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ „მაესტროში“ სიმშვიდემ, პროფესიონალიზმმა, სტაბილურობამ დაიბრუნოს და ეს ყველაფერი ძალიან კარგად დამთავრდეს.

ლევან გაჩეჩილაძემ ირაკლი რუხაძეზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ირაკლი რუხაძისგან გია გაჩეჩილაძემ ვალი აიღო.

– საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ვალი აუცილებლად უნდა იყოს პროცენტიანი. ეს არის ძალიან სამართლიანი და იურიდიულად სწორი მოლაპარაკება, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

გუშინ საზოგადოების წინაშე, როგორც იქნა, ირაკლი რუხაძეც გამოჩნდა.

მან თქვა, რომ აპირებს განცხადების გავრცელებას, სადაც ყველა კითხვაზე პასუხი იქნება გაცემული.

კითხვას, თუ რატომ ასესხა მან ფული გია გაჩეჩილაძეს კონკურენტი არხის გასაძლიერებლად, რუხაძემ უპასუხა, რომ მეგობარს დაეხმარა და ამით ფინანსურ სარგებელს იღებს.

– კომერციული გარიგებაა, რომელიც რატომღაც გავიდა კომერციიდან. გავაკეთებ განცხადებას, სადაც შევეცდები, განვმარტო ყველაფერი – თუ რა არის ჩემი ინტერესი, რა შეიძლება იყოს „იმედის“ ინტერესი და ასე შემდეგ, – განაცხადა რუხაძემ.

ირაკლი რუხაძემ ჟურნალისტებთან კოტე გოგელიასთან მიმოწერაზეც გააკეთა მცირე კომენტარი.

– არ ვარ მიჩვეული კომერციულ გარიგებებზე საუბარს. კოტე გოგელია ითხოვდა 9,5 მილიონს, ჩვენ ვთავაზობდით 7,5 მილიონს. დღეს კოტე ითხოვს 5,5-ს 30 პროცენტში, თუ არ ვცდები, ბაჩო კიკაბიძის წილის გასხვისებაში. მე კოტეს ველაპარაკე 7-8-ჯერ ორი კვირის განმავლობაში და მაშინ რომ დათანხმებოდა „უცნობი“ ამ თანხას, არავის გეცოდინებოდათ ახლა ეს ამბები, – განაცხადა ირაკლი რუხაძემ.

* * *

– ლევან გაჩეჩილაძეს „მაესტროს“ შენობაში შესვლის პრობლემა არ ექნება, თუმცა არა როგორც დირექტორს, არამედ, როგორც ლევან გაჩეჩილაძეს, – განაცხადა „მაესტროს“ 25%-იანი წილის მფლობელმა მაკა ასათიანმა ტელეკომპანიაში მისვლისას.

ამასთან, მაკა ასათიანის თქმით, გაჩეჩილაძის დირექტორობასთან დაკავშირებით „მაესტროს“ გუნდმა პოზიცია ერთობლივი განცხადებით უკვე დააფიქსირა.

– აქ ერთად ვმუშაობთ. გუნდმა პასუხი გასცა ყველაფერს და მე ვარ გუნდის წევრი. მე ვარ იქ, სადაც არის ჩემი გუნდი და წინააღმდეგი ვარ ძალადობის. საშვის დაშვების შემდეგ ყველას აქვს უფლება, შენობაში შემოვიდეს. გია გაჩეჩილაძეს, რომელიც დამფუძნებელია, შენობაში მოსვლის უფლება აქვს, ამაში პრობლემა არ შეექმნება არც ლევან გაჩეჩილაძეს, – განაცხადა მაკა ასათიანმა.

რაც შეეხება „მაესტროს“ 3 თანამშრომლის განსხვავებულ პოზიციას, ასათიანის თქმით, ეს მისთვის მტკივნეული თემაა.

– 3 გოგონა არ იზიარებს გუნდის პოზიციას. ძალიან განვიცადე, რომ 3 ადამიანი ერთობლიობას დაარღვევდა, ალბათ, ჩემი მხრიდანაც იყო გარკვეული შეცდომები, რადგან მათ გუნდის გაერთიანებაში ეჭვი შეიტანეს. ეს მტკივნეული იყო, – აღნიშნა ასათიანმა.

მან არ დაადასტურა ირაკლი რუხაძის ინფორმაცია წილის გაყიდვასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე.

– წილის გაყიდვას არ ვაპირებ, – თქვა მაკა ასათიანმა.

მისი თქმით, ბოლო წლის განმავლობაში „მაესტროს“ წილების შესყიდვასთან დაკავშირებით ტელეკომპანიას არაერთი შეთავაზება ჰქონდა, თუმცა კონკრეტული გვარები და კომპანიების სახელები, რომლებსაც „მაესტროს“ წილების შესყიდვა სურდათ, არ ახსოვს.

იყო თუ არა მათ შორის ირაკლი რუხაძე, როგორც ამას თავად ირაკლი რუხაძე აცხადებს, მაკა ასათიანს არ დაუკონკრეტებია.

* * *

მაკა ასათიანი სასამართლოს მიმართავს თხოვნით, რომ ბათილად იქნეს ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებითაც ებრალიძისა და ჩიკვაიძისგან გაჩეჩილაძეზე ტელეკომპანიის 55%-იანი წილი გადაფორმდა.

ადვოკატ გიორგი გვენეტაძის განცხადებით, ეს არის თვალთმაქცური გარიგება და რეალურად წილი შეიძინა ირაკლი რუხაძემ.

– ამასთან ერთად, ეს ხელშეკრულება არის კანონსაწინააღმდეგო, რადგან დარღვეულია კანონის რიგი ნორმები, მათ შორის კონკურენციის შესახებ კანონი, – განაცხადა გიორგი გვენეტაძემ.

ის სასამართლოს მიმართავს თხოვნით, შეაჩეროს ხელშეკრულებების მოქმედება და გაჩეჩილაძეს შეუჩერდეს პარტნიორის უფლებები. ადვოკატის ინფორმაციით, აღნიშნულზე გადაწყვეტილება სასამართლომ 24-საათიან ვადაში უნდა მიიღოს.

* * *

სასამართლოს „მაესტროს“ პარტნიორთა კრების მიერ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებული ბაია გადაბაძეც მიმართავს.

ის არხის ახალ დირექტორ ლევან გაჩეჩილაძეს უჩივის.

გადაბაძე მოითხოვს, ბათილად იქნეს ცნობილი „მაესტროს“ პარტნიორთა საბჭოს გადაწყვეტილება ლევან გაჩეჩილაძის დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით.

– სარჩელში საუბარია იმაზე, რომ გია გაჩეჩილაძის წილები სადავოა. ასევე მოყვანილია კონტრარგუმენტები იმ არგუმენტებისა, რის საფუძველზეც დირექტორობიდან გამათავისუფლეს. მე კანონის ფარგლებში ვმოქმედებდი და არგუმენტები, რომლებიც ჩემს გათავისუფლებას დაედო საფუძვლად, არ არის ლოგიკური, – განაცხადა ბაია გადაბაძემ.

* * *

ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი არ აპირებს, სახელწოდება „მაესტრო“ ვინმეს დაუთმოს.

– ოფიციალურად ვაცხადებ, რომ „მაესტროს“ გარშემო განვითარებულ მოვლენებში მე არ წარმოვადგენ არცერთ დაპირისპირებულ მხარეს, ასევე არ არსებობს თეორიული შანსიც კი იმისა, რომ მე გავყიდო ჩემს მფლობელობაში არსებული 6.25% წილი. „მაესტროს“ სარედაქციო დამოუკიდებლობა, რომლითაც ასე ამაყობენ „მაესტროს“ ახალი თუ ძველი ჟურნალისტები, რომლითაც სამართლიანად სარგებლობს მაყურებელი, მოპოვებული და დამკვიდრებულია ჩემი და ჩემი თანამებრძოლების პრინციპული ბრძოლისა და თავდადების შედეგად.

მე არ ვაპირებ, მატერიალურ ღირებულებად ვაქციო ის, რაც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მე არ ვაპირებ, ვინმეს დავუთმო სახელწოდება „მაესტრო“ და თუ სახელმწიფო ან ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ჩემზე მეტი მატერიალური ან რამე სხვა საშუალება აქვთ, იძალადებს ჩემზე და უსამართლოდ წამართმევს ამას ყველაფერს, ისინი მოიპოვებენ გამარჯვებას მხოლოდ კონკრეტულ ბრძოლაში, ომს ვერასდროს მოიგებს მოძალადე, – წერს მამუკა ღლონტი სოციალურ ქსელში თავის გვერდზე.

* * *

– თანხებზე აპელირება იმისთვის ხდება, რომ ყურადღება სხვა რამეზე გადანაწილდეს, მაგრამ ჩვენ არ უნდა ავცდეთ მთავარ გზას – არსებობს „მაესტროს“ ხელში ჩაგდებისა და მიტაცების სურვილი.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „მაესტროს“ ერთ-ერთმა პარტნიორმა ბაჩო კიკაბიძემ განუცხადა.

მას ლოგიკურად არ მიაჩნია ირაკლი რუხაძის განცხადება, რომლის თქმითაც, 50 მილიონი მან გაჩეჩილაძეს პროცენტით ასესხა.

– 50 მილიონის გასესხება ასე ადვილი არ არის. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ამ თანხას უკან ამოიღებ. ეს ხომ 50 ლარი არ არის, თუმცა ვინ ვის ასესხა და როგორ, ეს დეტალებია. ამაზე აპელირება სპეციალურად ხდება, რომ ყურადღება სხვა რამეზე გადანაწილდეს, მაგრამ მთავარია, ჩვენ არ ავცდეთ გზას, რომ არსებობს „მაესტროს“ ხელში ჩაგდებისა და მიტაცების სურვილი, – განაცხადა ბაჩო კიკაბიძემ.

თელავში ყაჩაღობა მოხდა

9 თებერვალს, გვიან ღამით, ყაჩაღობა მოხდა თელავში. ჭავჭავაძის ქუჩაზე, ვახტანგიშვილების საცხოვრებელ სახლში, ორი პირი შეიჭრა. არსებული ინფორმაციით, ცოლ-ქმარს ჯერ ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ, შემდეგ კი სახლიდან ძვირფასეულობა და თანხა გაიტანეს. თანხის კონკრეტული ოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

მეზობლების თქმით, ხნიერი ქალი მძარცველებმა დააბეს, ქმარს ვახტანგ ვახტანგიშვილს კი ინსულტი დაემართა. შედეგად ორივე მათგანი თელავის რეფერალურ საავადმყოფოშია მოთავსებული. ექიმების განცხადებით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურად მძიმეა.

ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. მიმდინარეობს გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

ფეროშენადნობი ქარხნის თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს

ზესტაფონში ფეროშენადნობი ქარხნის ასამდე თანამშრომელმა გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასების მომატებას ითხოვენ.

როგორც ფეროშენადნობი ქარხნის თანამშრომლები აცხადებენ, საწარმოს ქართველი ხელმძღვანელები მათ მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ და საერთოდ კონტაქტზეც არ გამოდიან.

საწარმოს თანამშრომლების თქმით, ადმინისტრაცია მათ განაკვეთური სამუშაოებისთვის ხელფასს არ აძლევს, ამიტომ მძიმე პირობებში არიან.

აქციის მონაწილეები მსგავს გამაფრთხილებელ აქციებს პერმანენტულად ჩაატარებენ და, იმ შემთხვევაში, თუკი მათი მოთხოვნები არ იქნება გათვალისწინებული, მუშაობას შეწყვეტენ.

ინტერპრესნიუსი

აზალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შეცვლის თუ არა გიორგი კვირიკაშვილს ირაკლი რუხაძე

გიგლა ბარამიძე: „ხელისუფლებამ კორუფციის ახალი ფორმა დაამკვიდრა“

შორენა მარსაგიშვილი

გეგმავს თუ არა დემოკრატიული მოძრაობა ვინმესთან გაერთიანებას, ვინ უნდა ჩაანაცვლოს გიორგი კვირიკაშვილი პრემიერის პოსტზე, ან კორუფციული სიახლე დაამკვიდრა ხელისუფლებამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას" დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

– დიდი ამბები მოჰყვა ინფორმაციის გავრცელებას იმის შესახებ, რომ ბურჯანაძე, ინაშვილი და ღარიბაშვილი შესაძლოა გაერთიანდნენ. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

– პოლიტიკაში არაფერი გამორიცხული არაა და კანონის ფარგლებში ყველაფერი დასაშვებია. რაც შეეხება კონკრეტულად ამ გაერთიანებას, ეს იდეის დონეზეც კი არ განიხილება. დღეს არსებული მდგომარეობით დემოკრატიული მოძრაობა საარჩევნოდ არავისთან არ აპირებს გაერთიანებას.

– დღეის მდგომარეობით ამბობთ და ხვალ შეიძლება შეიცვალოს რამე?

– არაფერი არ უნდა გამორიცხო, როცა პოლიტიკაში ხარ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს გაერთიანება შედგეს. ახლა ჩვენ საარჩევნოდ ვიწყებთ სამზადისს და ამით ვართ დაკავებული. ამ ეტაპზე არც კოალიცია, არც გაერთიანება და არც ერთიანი ფრონტი არ იგეგმება.

პარტიის შიგნით რაღაც ცვლილებები, ბუნებრივია, იქნება, მაგრამ ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა და საგაზეთო თემა არ არის.

– არჩევნების წინ, როგორც წესი, პოლიტიკურ ველზე დიდი გადაადგილებები ხდება. განსაკუთრებული ნადირობა ე.წ. ცნობად სახეებზე მიდის. დემოკრატიული მოძრაობა თუ აწარმოებს ასეთ ხალხთან მოლაპარაკებებს?

– სიმართლე გითხრათ, ამ ე.წ. ცნობადი სახეების დიდად არ მწამს. მთავარია პარტიაში წესიერი და პროფესიონალი ხალხი იყოს, რომლებიც თავიანთი საქმეებით გახდებიან ცნობილები.

ცნობადი სახეების სიაში შეყვანა სხვა არაფერია, თუ არა პროვინციული ქართული პოლიტიკის კოხტაპრუწობა. მოიყვანენ ვიღაც ცნობად სახეს და სინამდვილეში არაფრის მაქნისია. ის თავის დარგშია ცნობადი და პოლიტიკაში არაფრის მომცემი არ არის. რამდენი ვიცით ასეთი ცნობადი სახე, რომლებიც ჩვეულებრივი მუქთახორები არიან. ისეთები, 2 ბატს რომ არ მიაბარებს კაცი.

უკვე ათწლეულებია საქართველოში ამ ცნობადობის პრინციპით ხდება სიების შედგენა. ეს მეთოდი აღარ მუშაობს.

– წინასაარჩევნო პერიოდზე ვსაუბრობთ და ახალი პარტიების გამოჩენას თუ ელოდებით კიდევ?

– არა მგონია, რომ ჩერნოვეცკის და ბურჭულაძის გარდა კიდევ ვინმე დაემატოს საარჩევნოდ პოლიტიკურ ველს. ბატონი ბანი კი აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციაა, მაგრამ ასე არ არის. ვიღაცას თავის მოტყუება თუ უნდა, მისი ნებაა, მაგრამ ნახავთ, სადღაც 2 თვეში ჩაატარებენ ყრილობას და პოლიტიკურ ძალად გადაიქცევიან.

– ამაში არის რაიმე ცუდი?

– რატომ უნდა იყოს ცუდი? პოლიტიკური პარტიის შექმნის უფლება ყველას აქვს. უბრალოდ, არ მიყვარს ხოლმე შეფარული ქართული ნართაული საუბრები. გაიძახიან არა, არა და არა. მერე გამოხტებიან და იტყვიან, ხალხი შიმშილობს, ქვეყანა იღუპება და უნდა მოვიდეთო.

შე დალოცვილო, რაღას იტყუები, ხომ ზეპირად ვიცით, რაც მოსდევს რეგიონებში ოფისების გახსნას. ბარემ პირდაპირ თქვი, ასე უფრო მართალი იქნები ხალხთანაც და შენ საკუთარ თავთანაც. ამას ბურჭულაძის მიმართ პატივისცემით ვამბობ. ის ადრე თუ გვიან მოინდომებს პარლამენტში შესვლას, მერე მერობის კანდიდატსაც წარადგენენ. მარგველაშვილის თანამდებობაზეც გაურბის ვიღაც-ვიღაცებს თვალი.

– არჩევნებზე ძირითადი მოთამაშეები, თქვენი აზრით, რომელი ძალები იქნებიან?

– ჩვენ, „ქართული ოცნება“, ლეიბორისტები, ნაციონალები, თავისუფალი დემოკრატები, პატრიოტთა ალიანსი, ბურჭულაძის და კიევის ყოფილი მერის პარტიები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს.

– რა კითხვები?

– ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, სხვა თემაა. ახლა კი, როგორც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, ვიტყვი, რომ ამ არჩევნებზე მაინც უნდა დავასრულოთ დამკვიდრებული მანკიერი მოღოდინი. როდესაც ერთი კაცის ქონების და მილიარდების იმედად ვაგებთ მთელ საარჩევნო კამპანიას. აღარ გვინდა ეს ფარული დაპირებები და მესიების ლოდინი. როგორც ციყვი ბორბალზე რომ ტრიალებს, ასე აკეთებს ქართველი საზოგადოება ბრუნებს ბოლო 25 წელია.

იმედი მაქვს, მესიების იმედად ყოფნა წარსულს ჩაბარდება და ეს ამ არჩევნებით დაიწყება. აქვე ვაანონსებ, რომ ჩვენ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების ჩარევას ველოდებით.

– რა ფორმით ჩაერევა ხელისუფლება?

– სააკაშვილივით მუშტი-კრივს არ გამართავენ და არც ჯავშანმანქანებს გამოიყვანენ, მაგრამ არჩევნებში ჩარევის უამრავი ფორმა არსებობს. ამაში ჩვენ გარდაბანსა და საგარეჯოში ჩატარებულმა არჩევნებმაც დაგვარწმუნა. შემოდგომაზე ამ ყველაფრის გაკეთებას კიდევ უფრო მწარედ აპირებენ. რაც რეაგირების გარეშე არ დარჩება.

– წინა ინტერვიუში თქვენ გვითხარით, რომ რამდენიმე მინისტრი დატოვებს თანამდებობას. გაიზიარებს თუ არა მათ ბედს პრემიერი. დავით უსუფაშვილმა ღიად თქვა, კვირიკაშვილი იქნება ჩვენი საარჩევნო სიის პირველი ნომერიო.

– კვირიკაშვილის პირველნომერობა ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილია რამდენიმე თვის შემდეგ ის წავა ამ თანამდებობიდან. ოღონდ, იქამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის და ბევრი მინისტრი შეიცვლება. ასევე გაგრძელდება ცვლილებები თბილისის მერიაში. იქ ეს პროცესი ჩუმად, წყნარად მიმდინარეობს, ჯერ მერამდე არ მისულან.

– თქვენი აზრით, მივლენ ნარმანიამდე?

– შესაძლოა არც მივიდნენ მერამდე, იმიტომ, რომ ამას სხვა ტექნიკა სჭირდება. მინისტრთა კაბინეტში კი ბევრი ვინმე შეიცვლება.

– მართალია კვირიკაშვილი ჯერ არსად მიდის, მაგრამ მის შესაძლო შემცვლელზე უკვე საუბრობენ. ერთერთი ვერსიით, ეს ირაკლი რუხაძე იქნება. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– რას ჰქვია ირაკლი რუხაძე იქნება? არავის არაფერს არ ეკითხებიან და მართლა კულუარებიდან და ერთი ხელის აქნევით იმართება ეს ქვეყანა? პიროვნულად ამ რუხაძეს არაფერს ვერჩი, მაგრამ ის მაინც გაგვაგებინონ, ვინ არის და საერთოდ რა უნდა.

მე არ ვიცი, ვინ შეცვლის კვირიკაშვილს, სამაგიეროდ ვიცი, რომ ეს ხალხისთვის შედეგს არ მოიტანს. ოფიციალური მონაცემებით, მარტო თბილისში 32.000 უმწეო ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც უფასო სასადილოებში იკვებებიან. ხალხი შიმშილობის ზღვარზე იმყოფება. ამ დროს ჩვენი პრემიერი ფლეშმობებს და გაურკვეველ პრეზენტაციებს აწყობს. ამას ჯობია წავიდეს და რეგიონები მოინახულოს.

ამას წინათაც გითხარით, რომ რეგიონებში დიდთოვლობამ დიდი პრობლემები შექმნა. სოფლების ნაწილი დღემდე მოწყვეტილია გარე სამყაროს. ის ვერ მოახერხეს, რომ გზა თოვლისგან გაეწმინდათ. ამ ხალხს იანვარი და ახალი წლები ხომ ჩაამწარეს და თებერვალშიც იგივე გრძელდება.

სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ იცის, რა ხდება რეგიონებში და ეს ძალიან სამარცხვინოა. კიდევ უფრო სამარცხვინოა ის კორუფციული ფორმა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დაამკვიდრა. თან ისე ოსტატურად მოიფიქრეს, ხანდახან ვერც კი შეედავები.

– რა კორუფციული ფორმა დაამკვიდრეს ამისთანა?

– ჩინოსნები მერიებსა და გამგეობებში არნახული ოდენობით იწერენ ხელფასებს და პრემიებს. იგივე ვითარებაა ცენტრალურ სტრუქტურებშიც. მაგალითისთვის გეტყვით, რა მოხდა თბილისის მერიაში, სადაც ძირითადად უმაქნისები არიან და არაფერში მაღალ ხელფასებს ღებულობენ.

ამ უსაქმურმა ჩინოვნიკებმა დეკემბრის თვეში 3.000 ლარამდე პრემია და 2.800 ლარი დანამატი გამოიწერეს. მთლიანობაში ხელფასის იქეთ ლამის 6.000 აიღეს. ეს განა არ არის კორუფციის ახალი ფორმა? აქამდე თუ კონვერტებით და კეისებით დადიოდნენ, ახლა ამას ღიად აკეთებენ.

დედაქალაქის ისტორიულ უბნებში, სადაც ნებისმიერ მშენებლობაზე მონიტორინგი უნდა გამოცხადდეს, ესენი მაღალსართულიან კორპუსებს აშენებენ. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ე.წ ელიტურ კორპუსებში ბინების 80-85% დღევანდელი ჩინოსნები ყიდულობენ. ვსვამ კითხვას, საიდან ამ ბინების შესაძენი ფული, სადაც კვადრატული მეტრი 1.000 დოლარი ღირს და ასევე მაინტერესებს, რით ვერ მოხდა მათი გაძღომა? მოვუწოდებ სპეცსამსახურებს, ამ მიმართულებით მონიტორინგი ჩაატარონ.

– ზემოთ თქვენ პრემიერის მიერ მოწყობილ პრეზენტაციებზე ისაუბრეთ. მთავრობა ანაკლიასა და ლაზიკას პორტებზეც ალაპარაკდა. არადა, ოპოზიციაში ყოფნის დროს ამ იდეის გამო საკაშვილს დასცინოდნენ. ახლა რა მოხდა, რატომ დაინტერესდნენ?

– ამის საპასუხოდ ვიცე-პრემიერისა და ეკონომიკის მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას მოვიშველიებ. ამ ბატონმა 2 კვირის წინ ასეთი რამე განაცხადა: „იმაზე მეტად გავუფასურდით, ვიდრე ამას ველოდით“. მართალია ის ლარს გულისხმობდა, მაგრამ მთავრობაც გაუფასურდა და მათ სიტყვას ფასი აღარ აქვს. ამდენი შეუსრულებელი დაპირება თავის უარყოფით შედეგს აუცილებლად მოიტანს.

რაც შეეხება ანაკლიას და ლაზიკას, არც ერთი და არც მეორე ნაციონალების იდეა არ არის. ამ ხალხს იმის ჭკუა ჰქონდათ, რომ სხვისი იდეები მიეთვისებინათ. ეს პროექტები ჯერ კიდევ კომუნისტების დროს არსებობდა. მათ გახსნეს არქივები, ამოიღეს ეს პროექტები, კარგად შეფუთეს და თავისად გაასაღეს. ისევე, როგორც კომუნისტების დროსვე არსებობდა პროექტი თბილისში შემოვლითი რკინიგზის გაკეთების.

ამათ არც ეს იციან და მაესტროსთან დაკავშირებით აკეთებენ გაუგებარ განცხადებებს. ამას ჯობია, ხალხს შეხვდნენ და გაიგონ, რა ხდება ქვეყანაში. ამის მაგივრად იანვარში გართობა მოაწყვეს.

– რა გართობა მოაწყვეს?

– საახალწლოდ კორპორატიული საღამოები გამართეს და ჩინოსნები ერთმანეთს სიმღერებს უძღვნიდნენ, გაქანებული ტაშ-ფანდური ჰქონდათ. არჩევნებზე ამის შედეგს აუცილებლად მიიღებენ. ეს ნამდვილად არ მაწუხებს, მე ის მტკივა, რომ ქვეყანა ზარალდება.

სუს-ის უფროსი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს, ჯეიმს ვოლშს შეხვდა.

შეხვედრას აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) წარმომადგენლები და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა და ჯეიმს ვოლშმა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მჭიდრო ურთიერთობას გაუსვეს ხაზი.

მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

ნათია ხურცილავა

თორნიკე შარაშენიძე: „მაპი ნატოში გაწევრიანების აუცილებელ ეტაპად რჩება“

საქართველოში ნატოს საინფორმაციო ცენტრის ყოფილი დირექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსი, თორნიკე შარაშენიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნატოში გაწევრიანების მექანიზმებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ პირდაპირ გვითხრა, რომ ამ ეტაპზე მაპი არ იქნება. თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ მაპი ჩვენი თვითმიზანი არ არის და არასდროს გვითხოვია. რამდენად არის შესაძლებელი, საქართველო მაპის გარეშე გახდეს ნატოს წევრი?

– დაინიშნა თუ არა თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად, ბრიუსელში ჩავიდა და ულტიმატუმი წაუყენა ნატოს გენერალურ მდივანს, მაპს თუ არ მოგვცემთ, პრორუსული ძალები მოვლენ ხელისუფლებაშიო. მაპის მოთხოვნასა და მაპზე ჭიდაობას აზრი არ აქვს. ყველას კარგად გვახსოვს, 2008 წელს წინა ხელისუფლების მიერ როგორ იყო მოქალაქეებში წინასწარი განწყობა შექმნილი, რომ მაპს მოგვცემდნენ და შემდეგ როგორი რეაქცია მოჰყვა ამას ადამიანებში. იგივე შეცდომები არ უნდა გაიმეოროს ამ ხელისუფლებამაც.

– ჩვენ ვიცით, როგორ ხდება მაპის მინიჭება ასპირანტი ქვეყნისთვის და ეს არის ნატოს წევრი ქვეყნების მიერ კონსენსუსის გზით მიღებული გადაწყვეტილება. ჩვენი ქვეყნისთვის მაპის მინიჭებას რამდენიმე ქვეყანა ეწინააღმდეგება? გერმანიისა და საფრანგეთის სკეპტიკური დამოკიდებულების შესაცვლელად როგორი სამუშაო უნდა ჩაატაროს ხელისუფლებამ?

– გერმანია წინააღმდეგია, რომ საქართველოს მაპი მისცეს ნატომ. გერმანიასთან ამის გამო ჭიდაობას არავინ აპირებს ბევრი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეა გერმანია უკრაინის საკითხში და დღეს უკრაინა არის აქტუალური და არა საქართველოს საკითხი. ჩვენი მთავრობა ბრიუსელში ჩადის და იქ ითხოვს მაპს, არადა, ბრიუსელში ნატოს საერთაშორისო შტაბბინაა წარმოდგენილი, რომელიც ახმოვანებს ნატოს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ ნებას. გერმანიის პოლიტიკური ნება ბრიუსელში კი არ არის, ბერლინშია. ამიტომ მნიშვნელოვანია ბერლინში მუშაობა.

ვინ მუშაობს, ვინ ატარებს ჩვენს პოლიტიკას ბერლინში? ჩვენი ელჩი, ბატონი ჭანტურია იურისტია. ის არ არის დიპლომატი.

– ჩვენმა ელჩმა გერმანიაში ლადო ჭანტურიამ ინტერვიუში მითხრა, რომ გერმანიის კანცლერის ვიზიტთან დაკავშირებით სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ეს ვიზიტი დღემდე არ გამართულა. ელჩი ასევე საუბრობდა გერმანიასთან ურთიერთობის პრიორიტეტებზე. რა ნაბიჯებია გადასადგმელი ამ მიმართულებით?

– დღეს ჩვენთვის ნატოში გაწევრიანების გზაზე გერმანია მთავარი პრობლემაა. გერმანიისთვის მეათეხარისხოვანი ვართ. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ დიდი ხანია, გერმანიაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე ელჩი არ გვყოლია. შანსი არ გვაქვს, კონკურენცია გავუწიოთ რუსეთს, რომელსაც დიდი ხანია ამ მიმართულებით საქმე აწყობილი აქვს და უძლიერესი დიპლომატებით აქვს გერმანიაში საელჩო დაკომპლექტებული. სააკაშვილის დროს მთავრობა ფიქრობდა, რომ თუ აშშ-თან ექნებოდა ახლო ურთიერთობა, ამერიკა მოაგვარებდა გერმანიასთან პრობლემას, მაგრამ ვერ მოაგვარა. როგორც ჩანს, ამ მთავრობას საერთოდ ხედვაც არ აქვს, თუ რა უნდა ქნას გერმანიასთან.

– სკეპტიკოსი ქვეყნების რიცხვში საფრანგეთიც არის.

– თუ გერმანიას დავარწმუნებთ, საფრანგეთიც დარწმუნდება.

– რამდენად შესაძლებელია, მაპის გარეშე გავხდეთ ნატოს წევრი?

– მაპი კვლავ რჩება გაწევრიანებისთვის აუცილებელ ეტაპად. კარგია, რომ ქალბატონი თინა ხიდაშელი ჩაციებული არ არის მაპს და აცხადებს, რომ მაპი არ არის თვითმიზანი, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ მაპი კვლავ რჩება გაწევრიანებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტად და ჩვენ ჯერჯერობით მაპს ვერ გადავახტებით. ეს ეტაპი გასავლელია.

ეს პუნქტი გერმანიის დაჟინებული მოთხოვნით ჩაიწერა.

– ნატოს ვარშავის სამიტისგან რას უნდა ველოდოთ?

– არანაირ პოლიტიკურ გარღვევას ვარშავის სამიტისგან არ უნდა ველოდოთ. მაპს ვგულისხმობ. შეიძლება რაღაც ახალი მოიგონონ, მაგრამ ეს არ იქნება მაპის საპირწონე. ამ სიტუაციაში ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ საქართველოში გაიხსნას ისეთი პროექტები, როგორიც არის ნატოს საწვრთნელი ცენტრი, ბაზა. მსგავსი რაღაცები არის ის, რაც რეალურად არის ხელშესახები და რაც მართლა მნიშვნელოვანია უსაფრთხოების კუთხით.

– აპატურაიმ ასევე ხაზგასმით ისაუბრა იმაზე, რომ არ უნდათ, ზედმეტი პრობლემები შეექმნას საქართველოს. რუსეთთან მოსალოდნელია საომარი ვითარება?

– ნატო ახლა ბალტიისპირეთზეა გადართული. უკრაინის შემდეგ არის საფრთხე, რომ რუსეთმა ბალტიისპირეთს დაარტყას. ამიტომ ნატო მთლიანად გადართულია იმაზე, რომ თავისი წევრი სახელმწიფოები დაიცვას, მით უფრო – ბალტიისპირეთი. ამიტომ ამ ეტაპზე ნატოს არ შეუძლია, საქართველოს სრულფასოვანი დაცვა საკუთარ თავზე აიღოს.

იან კელი: „მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს შემოწმებისა და ბალანსის მექანიზმები“

ქვეყანაში უნდა არსებობდეს შემოწმებისა და ბალანსის მექანიზმები, რაც წაადგება ქართულ სისტემას. ამის შესახებ ამერიკის ელჩმა საქართველოში იან კელიმ საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის თემის კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ელჩმა განმარტა, საკითხთან დაკავშირებით მისგან ვრცელი განმარტება მიზანშეწონილი არ იქნება, თუმცა, კელის თქმით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეს სრული დამოუკიდებლობა.

იან კელი:

– ჩემი მეორე შეხვედრა შედგა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. პირველი შეხვედრა იყო ოქტომბერში და თავმჯდომარემ მომაწოდა ინფორმაცია განხილვაში მყოფი საქმეების შესახებ.

მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს შემოწმებისა და ბალანსის მექანიზმები, რაც წაადგება ქართულ სისტემას. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს სრული დამოუკიდებლობა.

ამასთან, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიკერძოებულია და ძალიან მალე ის აპირებს, საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის დარგში პირველი მოკრძალებული, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას.

ინტერპრესნიუსი

სტოლტენბერგი: „საქართველო ნატოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო პარტნიორია“

– საქართველო ნატოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო პარტნიორია, – ასეთი განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. „საქართველო ნატოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო პარტნიორია. რეფორმები, რომლებიც შიდა პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში ხორციელდება, საქართველოს ნატოსთან უფრო დააახლოებს. უელსის სამიტზე ჩვენ შევთანხმდით საქართველოსთვის არსებითი პაკეტის მინიჭებასა და მხარდაჭერაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა დაგეგმარება, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, საზღვაო უსაფრთხოება და კიბერთავდაცვა.

– ჩვენ ვიმსჯელებთ მიღწეულ პროგრესზე და როგორ შეგვიძლია, უფრო გავზარდოთ ჩვენი მხარდაჭერა საქართველოსთვის, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

მისივე ინფორმაციით, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა 11 თებერვალს გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

„ჩვენი ნატოში შესვლა რუსეთის დასუსტებასთან არის დაკავშირებული“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს ნატოში გაწევრიანებას რუსეთში მიმდინარე პროცესებს უკავშირებს.

– ნატოში საქართველო გაწევრიანდება. დასავლეთი ამზადებს ძალიან დიდ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს ამ რეგიონში, – აცხადებს დეპუტატი „ახალ თაობასთან“ საუბარში.

– რუსეთის დასუსტებით?

– დიახ. რუსეთში კატასტროფული მდგომარეობაა. ახლა აპირებენ, შეამცირონ ბიუჯეტის ხარჯები. დასავლეთმა, გარდა იმისა, რომ სანქციები დაუწესა, რუსეთი, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი, შეიტყუა კონფლიქტებში, რომლებიც ძალიან ძვირი უჯდება. საბჭოთა კავშირის დაშლის წინაპირობა იყო ავღანეთში შეჭრა, რომელიც საბჭოთა კავშირს ძალიან ძვირი დაუჯდა. პარალელურად ნავთობის ფასიც დაეცა. ახლაც მსგავსი პროცესია ანუ რუსეთი გაჭედილია უკრაინასა და სირიაში. პარალელურად ნავთობზე ფასები დავარდნილია.

თუ აღნიშნული პროცესი ისე დამთავრდა, როგორც არის დაგეგმილი, მაშინ ჩვენ ნატოში გაწევრიანების პრობლემა აღარ გვექნება.

– მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი ყველგან იბრძვის, ლოკალურ ომებს არ ეშვება.

– ძალიან ძვირი უჯდება, მაგრამ რუსეთისთვის დამახასიათებელია ადამიანების გაღარიბების ხარჯზე თავისი არარეალური გეგმების განხორციელებისთვის ბრძოლა.

გიორგი კვირიკაშვილი: „იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი უახლოეს მომავალში დაწესდება“

ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმამ დიდი წვლილი შეიტანა რეფორმების პროცესის დაჩქარებაში და რადგან ყველა ტექნიკური მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი უახლოეს მომავალში დაწესდება. ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან ერთად გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს მიღწევა საქართველოსა და სხვა პარტნიორებისთვის გახდება უტყუარი დემონსტრირება იმისა, რომ ევროპულ არჩევანს კონკრეტული შედეგები მოაქვს.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობა უზრუნველყოფს საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, თავისუფალ მედიაგარემოს, სასამართლო სისტემის რეფორმის გაგრძელებასა და სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას.

პრემიერმა საქართველო-ევროკავშირის განსაკუთრებულ ურთიერთობებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ევროკავშირის უწყვეტი დახმარებითა და მხარდაჭერით საქართველო დამაჯერებლად მიიწევს წინ დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგის განხორციელების გზაზე და გადაწყვეტილი აქვს ამ მხრივ კიდევ უფრო დიდი წარმატების მიღწევა.

გიორგი კვირიკაშვილი:

– ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. უსაფრთხოება და სტაბილურობა ჩვენი ერთობლივი წამოწყებების წარმატების უმთავრესი წინაპირობებია.

საქართველო დღესაც დგას გამოწვევებისა და მძიმე ჰუმანიტარული შედეგების წინაშე, რომლებიც რუსეთის მხრიდან ოკუპაციამ და მცოცავმა ანექსიამ მოიტანა. ამ მხრივ, ჩვენ დიდად ვაფასებთ ევროკავშირის მხრიდან საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევ მხარდაჭერას, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, შეხვედრისას მხარეებმა ერთმანეთს ასევე გაუზიარეს მოსაზრებები საქართველოში ევროკავშირის საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურების შესახებ, მათ შორის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, არაღიარების პოლიტიკის, ნდობის გაღვივებისა და ჟენევის მოლაპარაკებებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის აქტიური შუამდგომლობის გზით.

– ხაზგასმით აღვნიშნავ ჩვენს ამბიციას, საქართველო რეგიონში ევროინტეგრაციის წარმატების მაგალითად ვაქციოთ. ამ მხრივ, ჩვენ ვიზიარებთ აღმოსავლეთ პარტნიორობისადმი, როგორც ჩვენი ხედვის ხორცშესხმის კონკრეტული პოლიტიკისადმი, ერთგულებას, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

არის თუ არა კორუფცია სასამართლოში?!

გელა ნიკოლაიშვილი: „გამამართლებელმა განაჩენებმა მკვეთრად იმატა“

ნონა ცაბაძე

სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობას" ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა.

– ბატონო გელა, რატომ არის საზოგადოებაში ამხელა უკმაყოფილება? არ გაამართლა იმ რეფორმამ, რომელზეც საუბარი მიდიოდა? როგორც ადვოკატს, ყოველდღიური შეხება გაქვთ სასამართლოსთან და რა ხდება?

– აქ საკითხი ორ ნაწილად უნდა დავყოთ. ერთი, რა ხდება თვითონ სასამართლოში, რას ვხედავ პრაქტიკულ საქმიანობაში და მეორე, ის რაც ხდება ზედა ეშელონებში. დანიშვნის პროცესი, იუსტიციის საბჭოს მოქმედება და ასე შემდეგ. დავიწყებ იმით, რომ ძირითადად შეხება მიწევს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან. ყველა თბილისელ ადვოკატს საქმეების 80-90%-ის წარმოება სწორედ აქ გვიწევს. აქედან გამომდინარე, მე შემიძლია ვიმსჯელო თბილისის საქალაქო სასამართლოზე.

– და რა ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოში?

– მე მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, მნიშვნელოვანი ცვლილებები. როგორც ახალი მოსამართლეების დანიშვნის თვალსაზრისით და მათი მუშაობის, რომ ისინი ძირითადად ბრმად კი არ იზიარებენ პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არამედ უკვე ემყარებიან კანონს და ძირითადად ობიექტურად არჩევენ საქმეებს. ობიექტური გადაწყვეტილებები გამოაქვთ, თუმცა, რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არის. აქ ერთი მომენტია საინტერესო...

– რომელი?

– ის, რომ ეს ხდება არა მხოლოდ ახლად დანიშნული მოსამართლეების მხრიდან, ძირითადად იმ ხალხის მხრიდანაც, რომლებიც იმ ავადსახსენებელ პერიოდშიც მუშაობდნენ და სრულიად სხვა სახის გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აქ საქმე პიროვნებებში არ იყო, არამედ იყო იმ პოლიტიკაში, რომელსაც ატარებდა უმაღლესი ხელმძღვანელობა სასამართლოების მიმართ. თუმცა კონკრეტულ პირებსაც აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა.

– საუბარია, რომ კორუფციამ იმატა სასამართლოშიო, რამდენად იზიარებთ ამას?

– კორუფციას რაც შეეხება, კორუფცია არ არის მხოლოდ ფულის მიცემა, აღება და ჯიბეში ჩადება. წინა ხელისუფლების დროს, კორუფცია იყო მართლაც უმაღლეს დონეზე, ოღონდ ეს იყო პოლიტიკური კორუფცია, როდესაც დაკვეთებს ასრულებდნენ იმის ფასად, რომ რაღაცა სიკეთეები მიეღოთ, ან სკამი შეენარჩუნებინათ და ასე შემდეგ. ხოლო რაც შეეხება იმ კორუფციას, რასაც ჰქვია ფულის აღებ-მიცემობა, ეს ხმები და ეს ლაპარაკი მეც გამიგონია.

– ანუ რეალურია ეს ხმები?

– გამიგონია, თუმცა არც ერთი ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს და ამიტომ, ეს მაინც მოარული ჭორი მგონია. უბრალოდ, ეს ხმები მოდის იქიდან, რომ რადგანაც მოსამართლეებმა მიიღეს თავისუფალი გადაწყვეტილების შესაძლებლობა და უკვე საკმაოდ ხშირია როგორც გირაოს შეფარდებები წინასწარი პატიმრობის ნაცვლად, ასევე გამამართლებელი განაჩენები. ამიტომ ხშირად სვამენ კითხვას – ალბათ ეს მოსამართლეები ფულს იღებენ, თორემ რატომ არის ამდენი გამამართლებელი განაჩენი ან გირაოს შეფარდება? მიმაჩნია, რომ ეს მაინც ვარაუდებია და ის მოარულ ხმებსა და ჭორებზეა დამყარებული.

– დანიშვნების თაობაზე რას იტყვით?

– დანიშვნებს რაც შეეხება, მძიმე მდგომარეობაა, რა თქმა უნდა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ძალიან უჭირს ნინო გვენეტაძეს, ვინაიდან ის არის სრულ უმცირესობაში. და ის რა მემკვიდრეობაც დაგვიტოვა კოტე კუბლაშვილმა, თავისი უსიტყვო მხარდამჭერი, იმ რვა მოსამართლის სახით, დღეს გადაწყვეტილებების მიღება, ძირითადად მათი სურვილების მიხედვით ხდება.

– თუმცა ნინო გვენეტაძის მიმართაც დიდია უკმაყოფილებაო. სერიოზული ბრალდებები ისმის მისი მისამართით. ამაზე რას იტყვით?

– ეს ბუნებრივია, რომ ამ მოსამართლეების მხრიდან იქნება ბრალდებები. იმ მოსამართლეების მხრიდან, რომელთაც ის დაუპირისპირდა. ნინო გვენეტაძეს არა აქვს უფლება ვინმეს მოხსნის, ან ვინმეს დანიშვნის, ასე ერთპიროვნულად. ის, რომ გვენეტაძე უცხო სხეულივით შევიდა ამ ერთიან, მონოლითურ, დანაშაულებრივ ჯგუფში, ბუნებრივია, ისინი დაუპირისპირდებოდნენ მას და ათასგვარ ინსინიუაციას ექნებოდა ადგილი.

– კონკრეტულად?

– მაგალითად, ტესტების გაჟონვის თემა.

– ამის თაობაზე გვენეტაძეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა?

– რასაკვირველია, ნინო გვენეტაძეს, როგორც ხელმძღვანელს, გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია. ეს არ ნიშნავს, რომ მან ხელი შეუწყო, მაგრამ რომ ვერ აღკვეთა, ამ მხრივ გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია. ვიღაცამ შეიძლება შეგნებულადაც გააკეთა ეს, რომ ეს პასუხისმგებლობა მას დაკისრებოდა. თუმცა მან უფრო აქტიურად უნდა იმოქმედოს, უფრო გაბედულად და თუ რაღაცა კანონებს აბრკოლებს მის მოქმედებას, პირდაპირ უნდა დასვას საკითხი პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინაშე, პარლამენტში, რომ ესა თუ ის კანონი შეიცვალოს. სხვაგვარი რეგულაცია დაწესდეს თუნდაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. აქ სხვაგვარი მცდელობაც არის.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ კონკრეტულმა ჯგუფებმა პირდაპირი გავლენა მოახდინონ და ფაქტიურად ხელში აიღონ ძალაუფლება სასამართლოში. იგულისხმება ის, რომ ზეგავლენის მომხდენი და გადაწყვეტილების მიმღები, შემკვეთების მიმცემი იყვნენ სწორედ ისინი.

– და ვინ არიან ისინი?

– კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დღეს ასე აქტიურობენ. იმას ვერ ამბობენ, რომ დღეს ხელისუფლება სასამართლოს კონკრეტულ პოლიტიკურ დავალებებს აძლევს, მაგრამ მეორე მხრივ, საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებენ. გავიხსენოთ თუნდაც მურუსიძესთან დაკავშირებული სკანდალი.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში მურუსიძე რა შუაშია?

– ისეთი აქცენტები იქნა გაკეთებული, რომ თითქოს ეს ერთი მურუსიძეა, რაღაცა დროშასავით იქცა. ვინმემ არ იფიქროს, რომ მას ვიცავ, მას იმდენი ცოდვები აქვს, მე ადვოკატად არ გამოვადგები მას, მაგრამ ზოგადად ეს მურუსიძეები, ასეულობით იყვნენ იქ. დღეს მურუსიძე ამბობს, რომ მას პრაქტიკულად არ შეეძლო სხვა გადაწყვეტილების მიღება.

– მსხვერპლად მოაქვს თავი, ხომ შეეძლო მანტია გაეხადა?

– რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ყველაზე გონიერი და ვაჟკაცური ნაბიჯი, რომ მანტია გაეხადა არა მხოლოდ მას, არამედ ბევრ ისეთ მოსამართლეს, რომლებიც დღეს აცხადებენ –აბა რა გვექნა, კი ვიცოდით, რომ უდანაშაულოდ ვსჯიდით, მაგრამ ისეთი მტკიცებულებები ჰქონდათ წამოყენებული, ჩვენ კანონმდებლობით ხელფეხი გვქონდა შეკრულიო.

– პროტესტის გამოხატვა არ შეიძლებოდა?

– კი ბატონო, კანონი არ აძლევდა ამის საშუალებას, მაგრამ ის ხომ მაინც შეეძლოთ, ხმა ამოეღოთ ამის წინააღმდეგ? თუნდაც მანტია გაეხადათ და პროტესტის ნიშნად დაეტოვებინათ. ეს არის ღირსეული საქციელი, თუმცა მათ შორის არ აღმოჩნდნენ ასეთი ღირსეულები. ამიტომ, როდესაც ლაპარაკობენ იმაზე, რომ აი მურუსიძე დანიშნეს, მარტო მასზე არ უნდა ვილაპარაკოთ. ან ყველას მიმართ უნდა იყოს ეს აქცენტები, ან ცალკე არ უნდა გამოვიტანოთ მურუსიძე და დროშად არ უნდა გავხადოთ. არც მურუსიძეს არა აქვს არანაირი გამართლება, მაგრამ ობიექტურები უნდა ვიყოთ.

– ანუ მისნაირი ჯერაც ბევრია სასამართლოში?

– რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში სხვებზეც უნდა იყოს საუბარი. კანონი იყო ასეთიო დღეს რომ გაიძახიან, საკმაოდ თბილად და კარგად მოკალათდნენ მაშინ ამ კანონის ჩარჩოებში!

– თვლით, რომ სასამართლოში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასალაგებელი?

– რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ. ნინო გვენეტაძემ კი უნდა ამოიყენოს გვერდით ახალგაზრდა, ახალი მოსამართლეები. ამ ძველი მოსამართლეებისთვის, 90-95%-ის შემთხვევაში, არ შეიძლება, რომ მათ ვადა გაუგრძელდეთ! ისინი ახალი ვადით არ უნდა დანიშნონ და სასამართლოს ახალი სისხლი უნდა გადაესხას! ეს ოთხი წელი ხომ აცადეს? უკანონოდ არავინ არ გაუთავისუფლებიათ, ვადა ამოეწურათ და მიბრძანდნენ. აბსოლუტურ უმრავლესობას ვადა არ უნდა გაუგრძელდეს.

თიბილოვი ფატუ ბენსუდას უნდობლობას უცხადებს

შორენა მარსაგიშვილი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების დაწყებას ცხინვალში დიდი მოლოდინით შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი ჰააგის სასამართლოს არ აღიარებს, სამხრეთელები აცხადებდნენ, რომ ისინი გამოძიებასთან ითანამშრომლებდნენ და მათ მნიშვნელოვან მტკიცებულებას მიაწვდიდნენ.

ჰააგის პროკურორ ფატუ ბენსუდას ბოლო განცხადებამ ცხინვალელებს გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი გაუქრო. სამხრეთელთა პრეზიდენტი თიბილოვი ბენსუდას განცხადებებს ეჭვქვეშ აყენებს.

ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, ჰააგის სასამართლო ცდილობს,

აგვისტოს ომში ცხინვალი დაადანაშაულოს.

– აშკარაა, რომ გამოძიება ცდილობს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში ოსები და მათი მეგობრები, ამ შემთხვევაში რუსები დაადანაშაულონ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გამოძიებისგან

ობიექტურობას არ უნდა ველოდოთ, – განაცხადა ოსურ მედიასთან საუბარში თიბილოვმა.

ის ბენსუდას განცხადების იმ ნაწილმა აღაშფოთა, სადაც საუბარია, რომ ომის დროს ქართველი სამშვიდობოები დაიღუპნენ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა ვანო მერაბიშვილის, დავით კეზერაშვილის, მამუკა ყურაშვილისა და გიგი კალანდაძის წინააღმდეგ საქმე რუსი სამშვიდობოების დაღუპვის გამო აღძრა.

თიბილოვი ამტკიცებს, რომ აგვისტოს ომში ქართველი სამშვიდობოები ვერ დაიღუპებოდნენ, რადგან ომის მომენტში ისინი იქ არ იმყოფებოდნენ.

– ფატუ ბენსუდას განცხადება იმის შესახებ, რომ ომის დროს ქართული სამშვიდობო ბატალიონის წევრები დაიღუპნენ, ტყუილია. ქართულმა სამშვიდობო ბატალიონმა, რომელსაც მშვიდობის უზრუნველყოფა ევალებოდა და სამმხრივ ფორმატში მუშაობდა, საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ოპერაციის დაწყებამდე დისლოკაციის ადგილი დატოვა, – აღნიშნა რესპუბლიკის მეთაურმა.

მისი განცხადებით, ომის დროს მხოლოდ რუსი მშვიდობისმყოფელები დაიღუპნენ. თიბილოვის თქმით, ომის გამოძიება სერიოზული ამბავია და ასეთი არასერიოზული განცხადებები მიუღებელია.

მისთვის ასევე მიუღებელია ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ ცხინვალის რეგიონში ქართველთა ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი.

– მე, როგორც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი, ვაცხადებ, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდა არ მომხდარა. ცხინვალის რაიონის ქართველი მოსახლეობა წინასწარ გაიყვანეს საქართველოში. მათ იცოდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომი იქნებოდა და სოფლების დატოვებისას თავად ანადგურებდნენ და წვავდნენ საკუთარ სახლებს, – განაცხადა თიბილოვმა.

დონალდ ტუსკი: „სისხლის სამართლის გამოძიება გამჭვირვალე და მიუკერძოებელი უნდა იყოს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა ევროსაბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკთან გამართა. შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ტუსკმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი და საქართველო პარტნიორები არიან.

ტუსკის ცნობით, კვირიკაშვილთან შეხვედრაზე მხარეებმა რიგი საკითხი განიხილეს, მათ შორის მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში და ხაზი გაუსვეს თავისუფალი და პლურალისტული მედიაგარემოს მნიშვნელობას.

დონალდ ტუსკმა აღნიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები სასამართლო სფეროში, ასევე კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

– მე აღვნიშნე, რომ ევროკავშირი ამ პროცესის ხელშესაწყობად მზად არის, – განაცხადა ტუსკმა.

ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა სისხლის სამართლის გამოძიების შესახებ.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის გამოძიება და სასამართლო დევნა ეფუძნებოდეს ფაქტებს, იყოს გამჭვირვალე და მიუკერძოებელი, ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, – განაცხადა ტუსკმა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს ვიზალიბერალიზაციის საკითხი. მან აღნიშნა, რომ საქართველომ ყველა პირობა შეასრულა იმისთვის, რომ ევროკავშირმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი დააწესოს.

„ახლა საბჭომ და ევროპარლამენტმა უნდა მიიყვანონ ეს პროცესი წარმატებულ ფინალამდე“, – აღნიშნა ტუსკმა.

მისივე თქმით, ევროკავშირი მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრულ მხარდაჭერას. ტუსკმა ასევე განაცხადა, რომ ის იზიარებს ოფიციალური თბილისის შეშფოთებას, ე.წ. შეთანხმებების გამო, რომელიც მოსკოვმა ცხინვალთან და სოხუმთან გააფორმა. დონალდ ტუსკმა ასევე მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ევროკავშირის მისიებში, მათ შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, უკრაინასა და მალიში.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ძ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

2016, 10 თებერვალი, №33

უახლოეს პერიოდში მედიკამენტები 30%-ით გაიაფდება

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორ დავით საგანელიძის მოსაზრებით, უახლოეს პერიოდში მედიკამენტები მინიმუმ 30%-ით გაიაფდება.

როგორც დავით საგანელიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ფარმაცევტული ქარხნის ამოქმედების შემდეგ მედიკამენტებზე ფასები, სავარაუდოდ, განახევრდება.

– ორი პროგრამა, რომელიც ფარმაცევტულ სფეროში მედიკამენტების გაიაფებასთან დაკავშირებით დაიწყო, რაშიც ასევე მონაწილეობს საპარტნიორო ფონდი, წარმატებით მიმდინარეობს. ალბათ, მოსახლეობამ უკვე შენიშნა, რომ ფასებმა დაიწია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უახლოეს ხანში მედიკამენტები მინიმუმ 30 პროცენტით გაიაფდება, ხოლო როდესაც ფარმაცევტული ქარხანა დაიწყებს მუშაობას, ფასები, ალბათ, განახევრდება, – აღნიშნა დავით საგანელიძემ.

საქართველოს მთავრობის დავალებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით, საპარტნიორო ფონდი ავსტრიულ კომპანიასთან ერთად ახალ პროექტს იწყებს.

პროექტის მიზანია თბილისში, ორხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალტექნოლოგიური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფარმაცევტული ქარხნის აშენება.

პროექტის განხორციელებისა და ოპერირების მიზნით ავსტრიულმა კომპანიამ სს „ჰუმანითი ჯორჯია“ დააფუძნა.

ფარმაცევტული ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, ხარისხის შემოწმების თანამედროვე ლაბორატორიით, სასაწყობო ფართებით და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ქარხანაში დამზადდება, სულ ცოტა, 800 დასახელების წამალი, როგორც ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე ექსპორტისთვის.

ასევე კომპანიის მიერ იმპორტირებული იქნება წამლების გარკვეული რაოდენობა, რომელთა საქართველოში რეალიზაცია შეღავათიან ფასებში იგეგმება.

ქარხანაში დასაქმდება 300 ადამიანი, რომელთა შორის იქნებიან ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები.

პროექტის ჯამური ღირებულება 130 მლნ აშშ დოლარია.

ბიბიენი

რას უნდა ელოდოს საქართველო მოგების გადასახადის რეფორმის შემდეგ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურა საუბარი მოგების გადასახადის რეფორმაზე, რომელიც რეინვესტირებულ თანხაზე მოგების გადასახადის გაუქმებას გულისხმობს.

ხელისუფლება აცხადებს, რომ რეფორმა ესტონური მოდელის მიხედვით უნდა მოხდეს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რას უნდა ელოდოს საქართველო რეფორმის შემდეგ და რა ეკონომიკური შედეგი მოუტანა ესტონეთს რეფორმამ, რომელიც ქვეყანამ 2000 წელს გაატარა და რომელიც მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრას გულისხმობს, რეინვესტირებული თანხა კი არ იბეგრება.

რეფორმის ყველაზე მთავარი შედეგი ინვესტიციების ზრდა იყო. მსოფლიო ბანკის წლიური ანგარიშების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 1999 წელს 305 მილიონი დოლარი იყო. 2005 წელს კი ეს მაჩვენებელი 3 მილიარდ 127 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

უდიდესი ცვლილება იყო რეინვესტირებული მოგების მაჩვენებლებშიც. თუ 1999 წელს კომპანიების მიერ რეინვესტირებული თანხის ოდენობა 46 მილიონი ევრო იყო, 2004 წელს ეს მაჩვენებელი 573 მილიონი გახდა.

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ რეფორმას პირველივე წლებში დადებითი მაჩვენებლები არ მოუტანია.

რეფორმის განხორციელების პირველ წლებში ამ მიმართულებით გადასახადიდან მიღებული თანხები წლიურ ბიუჯეტში დაახლოებით ორჯერ შემცირდა.

თუ 1999 წელს მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები ბიუჯეტში 1.638 მილიონი კრონა იყო, 2000 და 2001 წლებში ეს მაჩვენებლები 854 და 748 მილიონ კრონამდე შემცირდა. მაგრამ შემოსავლების შემცირება მცირეპერიოდიანი იყო – 3 წლის შემდეგ, 2004 წელს, საგადასახადო შემოსავლები ამ მიმართულებით გაიზარდა ოთხჯერ და შეადგინა 2.522 მილიონი კრონა.

საგადასახადო რეფორმის შემდეგ ეკონომიკური ინდიკატორები ესტონეთში შეიცვალა. კვლევაში ესტონეთის ეკონომიკა ლიტვისა და ლატვიის ეკონომიკებთან არის შედარებული. კვლევის ავტორებმა შესადარებლად ეს ქვეყნები იმის გამო აირჩიეს, რომ ქვეყნებს მსგავსი პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია აქვთ, შესაბამისად, აღვილი დასადგენია, რომ ეკონომიკური განსხვავებები სწორედ რეფორმამ განაპირობა.

კვლევაში აღნიშნულია, რომ რეფორმის შედეგად, ვალის წილი მთლიან აქტივებში შემცირდა დაახლოებით 7%-ით. ამის პარალელურად გაუმჯობესდა კომპანიების ხელმისაწვდომობა საბანკო სესხებზე და შემოვიდა მეტად ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთები.

ანგარიშში ნათქვამია, რომ განსაკუთრებული ეფექტი რეფორმას პატარა ფირმებზე ჰქონდა, რომლებსაც უჭირდათ ფინანსური წყაროების მოზიდვა კომპანიის გარედან.

კვლევის მიხედვით, რეფორმის უმთავრესი მიზანი ინვესტიციების ზრდა იყო, თუმცა, მან ასევე შეუწყო ხელი იმას, რომ დაგროვილიყო ლიკვიდური აქტივები როგორც ნაღდი ფულის, ისე უძრავი ქონების სახით.

– მაშინ, როდესაც ლიკვიდური აქტივების მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს დაბალ პროდუქტიულობას, გაირკვა, რომ 2009 წლის კრიზისის დროს ამ მაღალმა ლიკვიდურმა აქტივებმა ფირმები რეალურად გადაარჩინა და ხელი შეუწყო, რომ რაც შეიძლება ნაკლები სესხები აეღოთ ბანკებისგან. რეფორმას ჰქონდა პოზიტიური ეფექტები ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე ინვესტიციებსა და შრომის პროდუქტიულობაზე, – ნათქვამია კვლევაში.

საგადასახადო რეფორმის ესტონური მოდელი აბსოლუტურად ინოვაციური იყო და მისი განხორციელებისთვის ქვეყნის ხელისუფლება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა. ხელისუფლებამ აქტიური მოლაპარაკებები ბიზნესსექტორთან გამართა.

სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმას აპირებს საქართველოს ხელისუფლებაც. ყოველ შემთხვევაში, გიორგი კვირიკაშვილმა კერძო სექტორთან კონსულტაციების მნიშვნელობას მთავრობის გასულ სხდომებზე არაერთხელ გაუსვა ხაზი.

კანონპროექტის დეტალები ამ დრომდე უცნობი რჩება. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დააანონსა, რომ ცვლილებათა პაკეტი მთავრობას თებერვლის პირველ ნახევარში წარედგინებოდა.

რაც შეეხება მოგების გადასახადიდან ბიუჯეტში მიღებულ თანხებს, 2016 წლის ბიუჯეტის თანახმად, წელს საწარმოებიდან მოგების გადასახადის სახით 980 მილიონი ლარის შემოსავლებია დაგეგმილი, რაც წელს პროგნოზირებული მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 12.3%-ს შეადგენს.

ხელისუფლების წარმომადგენლები და სპეციალისტები აცხადებენ, რომ მოგების ახალი გადასახადის შემოღების შემდეგ ეს თანხა არ განულდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მსგავსი ტიპის შემოსავლები პირველ წლებში შესაძლოა 500 მილიონამდე დაეცეს, შემდეგ კი გაიზარდოს.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

მამუკა ხაზარაძე: „ანაკლიის პორტის საინვესტიციო ღირებულება 2,5 მილიარდი დოლარია“

ანაკლიის პორტისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მმართველები მსოფლიოში ცნობილი კომპანიები იქნებიან.

ამის შესახებ პორტის მშენებელი კომპანიის „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ რადიო „კომერსანტს“ განუცხადა.

ხაზარაძის განცხადებით, პორტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 2,5 მილიარდი დოლარია და თანხის დიდი ნაწილი პირველ ფაზაზე იქნება ინვესტირებული.

ხაზარაძე ამბობს, რომ პორტის უკან 600 ჰექტარზე თავისუფალი ინდუსტრიული და ეკონომიკური ზონა მოეწყობა, რომელიც აუცილებელია წარმოებისა და პორტის მომავალი განვითარებისთვის.

მისივე თქმით, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ღრმად შეისწავლა ინდუსტრიული ზონების მართვის საკითხი მსოფლიოს მასშტაბით.

გაირკვა, რომ მხოლოდ რამდენიმე ჯგუფმა მოახერხა წარმატების მიღწევა და სწორი მოდელის შექმნა.

მამუკა ხაზარაძე ამბობს, რომ სწორედ ამ მიდგომებით იხელმძღვანელებს კონსორციუმი.

მისივე ინფორმაციით, უკვე აქვთ მოლაპარაკება მსოფლიოში წარმატებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მმართველებთან და ჩამოიყვანენ ოპერატორს, რომელიც წარმოადგენს საინტერესო წინადადებას. ის შეიძლება იყოს აზიური ან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნის წარმომადგენელი.

ხაზარაძე დასძენს, რომ პორტის ოპერირებას ასევე განახორციელებს მსოფლიოში წამყვანი ოპერატორი.

კომერსანტ.გე

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა არ გაზრდილა

ევროპაში არსებული მიგრაციის კრიზისის მიუხედავად, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა არ გაზრდილა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განუცხადა, პირიქით, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ იკლო.

სოზარ სუბარი:

– გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის შეფასებით, მსოფლიოში არასდროს ყოფილა იმდენი ლტოლვილი, რამდენიც წელს არის. 61 მილიონი ადამიანია თავისი ქვეყნიდან გაქცეული და ეძებს თავშესაფარს, რათა სიცოცხლე გადაირჩინოს. მსოფლიოს ძალიან ბევრ ნაწილში ჰუმანიტარული კრიზისია, სამწუხარო ის არის, რომ ძირითადი კერა არის ჩვენს სამეზობლოში, ჩვენ ირგვლივ, საიდანაც ყველაზე მეტი ადამიანი არის წასული იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს.

ცხადია, ამ ადამიანების უმრავლესობა მიდის განვითარებულ ქვეყნებში და ეძებს თავშესაფარს, თუმცა ჩვენთანაც ბევრია.

2010 წელს 57 თავშესაფრის მაძიებელი იყო, 2011 წელს 79 და 2014 წელს უკვე გაიზარდა 1792 ადამიანამდე ანუ, პრაქტიკულად, გაოცმაგდა ადამიანების რაოდენობა. შარშან იყო 1284 მომართვა, თუმცა 2014 წელთან შედარებით ერთგვარად იკლო.

მისი თქმით, 2014 წელს მაღალი მომართვიანობა ნაწილობრივ განაპირობა მიგრანტების მოლოდინმა, რომ საქართველოდან ადვილად წავიდოდა ევროპის ქვეყნებში.

– როდესაც ამ ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ საქართველო გაეროს მიერ აღიარებულია, როგორც უსაფრთხო ქვეყანა და შესაბამისად, აქედან მათ კარი დაკეტილი აქვთ, ისინი დაბრუნდნენ იმ ქვეყანაში, საიდანაც შემოვიდნენ, ანუ თურქეთში და იქედან უკვე სხვა გზებით სცადეს წასვლა ევროპის ქვეყნებში. ჩვენც შევცვალეთ ჩვენი პოლიტიკა და ბოლო წლებში თავშესაფრის მინიჭების პროცენტული რაოდენობა იყო საკმაოდ დაბალი, 2015 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და თითქმის არავისთვის გვითქვამს უარი, სადაცდასაბუთებული იყო, რომ ეს ადამიანი მართლა დევნას გამოექცა და მართლა საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს. ცხადია იყო არაერთი უარიც, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება მიგრანტებისთვის თავშესაფრის მინიჭების პროცენტულ მაჩვენებელს, მინისტრის განმარტებით, 2013 წელს 719 მომართვიდან 21%-ს მიენიჭა თავშესაფარი, 2014 წელს 1792-დან 37% იყო დადებითი, ხოლო 2015 წელს 76% იყო დადებითი.

სოზარ სუბარი:

– 76%-დან 5,5% იყო ლტოლვილი, დანარჩენი ჰუმანიტარული, მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ლტოლვილის სტატუსი ენიჭება იმ პირს, რომელიც განიცდის დევნას რელიგიის, რასის, გარკვეული შეხედულებების გამო და მას იმ ქვეყანაში ცხოვრება წარმოადგენს პიროვნულ საფრთხეს. ხოლო ჰუმანიტარული – ცოტა უფრო ზოგადია, ეს არ არის პიროვნული დევნა, ეს არის ომი იმ ტერიტორიაზე, რის გამოც იქ ცხოვრება არის საშიში მისთვის და მისი ოჯახისთვის.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს მიერ ირანისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმი 15 თებერვლიდან გაუქმდება

საქართველოს მიერ ირანისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმი 15 თებერვლიდან გაუქმდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში ირანის ელჩის მოადგილე მოჰსენ ქებრიაიმ განუცხადა.

როგორც ელჩის მოადგილემ აღნიშნა, საქართველოს მიერ ირანთან უვიზო რეჟიმის გაუქმების შედეგად შეფერხდა ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა და ეკონომიკური ურთიერთობები.

– ზოგადად, ეკონომიკური ურთიერთობა ვითარდება მაშინ, როდესაც ხალხთაშორის არის თავისუფალი მიმოსვლა, როდესაც ინვესტორი თავისუფლად შემოდის და თავის სასურველ სფეროში აბანდებს კაპიტალს, იწყებს ეკონომიკურ საქმიანობას.

უვიზო რეჟიმის გაუქმებამ ასახვა ჰპოვა საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო ბრუნვაზე.

თუ 2012-13 წლებში სავაჭრო ბრუნვა 200 მილიონი დოლარის ფარგლებში იყო, დღეს 130 მილიონამდეც არაა. თუმცა, ამის გამოსწორება შეიძლება, იმიტომ რომ საქართველოს და ირანს აქვთ პოტენციალი სავაჭრო ბრუნვა გაზარდონ, – განაცხადა მოჰსენ ქებრიაიმ.

მისივე თქმით, საქართველოს ტრანზიტული პოტენციალი, რომელსაც აღრე იყენებდა ირანი, დღემდე რჩება გამოუყენებელი.

– თუმცა, უკვე არსებობს ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეთანხმება და ნება იმაზე, რომ ეს პოტენციალი ირანმა გამოიყენოს, რაც უკვე, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, – განაცხადა ელჩის მოადგილემ.

ინტერპრესნიუსი

აფხაზეთში ახალი პასპორტები რიგდება

ანზორ წოწონავა: „ანექსირებულ აფხაზეთში ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა“

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი მარტიდან ახალი პასპორტების გაცემას იწყებს. დოკუმენტების შეცვლის კამპანია 80 მილიონი რუბლი ჯდება. თითო პასპორტი კი, საბაჟო გადასახადის ჩათვლით, 420 რუბლი ეღირება. პასპორტებს ელექტრონული სისტემით დაარიგებენ. ნავარაუდევია საათში 60-მდე ადამიანის გასტუმრება. საამისოდ შექმნილია საპასპორტო სამართველო 13 რეგიონული განყოფილებით. ახალი პასპორტების დარიგება წლის ბოლომდეა ნავარაუდევი.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის მოსახლეობა ნეიტრალურ და ქართულ პასპორტებსაც იღებს. თუმცა, რისკის ფასად.

– საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის სპეცსამსახურები ყველანაირად ხელს უშლიან ნეიტრალური პასპორტების აღებას, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა.

მისი თქმით, ნეიტრალურ პასპორტებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მოქალაქეები იყენებენ საზღვარგარეთ წასასვლელად. განსაკუთრებით მაშინ, როცა უცხოეთში მკურნალობა ესაჭიროებათ.

ანზორ წოწონავას თქმით, აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი დისკრედიტირებულია საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში. შესაძლოა, ახალი პასპორტები იმიტომ დასჭირდათ, რომ თავისი ცუდი რეპუტაცია შეალამაზონ და კარგად გამოჩნდნენ უცხოეთის თვალში.

– ფიქრობთ, რომ იმიჯის გამოსწორება არ გამოუვათ?

– აფხაზეთის საოკუპაციო ხელისუფლებას ასეთი ნაბიჯებით არაფერი გამოუვა. ჩვენ, აფხაზეთის დევნილი ლეგიტიმური სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციებს მუდმივად ვაწვდით ინფორმაციას იმაზე, თუ რა დღეშია ხალხი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

– ამ ადამიანების უფლებები ირღვევა?

– აფხაზეთში დარჩენილი ადამიანების უფლებები უხეშად ირღვევა. ეს ეხება არჩევნებში მონაწილეობას, ასევე მშობლიურ ენაზე სწავლას და სხვა.

– მშობლიურ ენაზე სწავლას იქ ქართველებს უკრძალავენ...

– ყველაზე უარეს დღეში ამ მხრივ ქართველები აღმოჩნდნენ. ქართული სკოლები თითქმის აღარ დარჩა. აფხაზეთში არის რუსული და სომხური სკოლები. ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ასე ვაყენებთ საკითხს – თუ აფხაზეთში შეიძლება სომხურად და რუსულად სწავლა, რატომ აიკრძალა ქართულად სწავლება? თვითონ აფხაზებიც არ არიან კარგ დღეში. თუ ადრე სკოლებში საგნებს აფხაზურად მერვე და ზოგჯერ მეოთხე კლასამდე ასწავლიდნენ, დღეს ამის შესაძლებლობაც მოესპოთ. აფხაზები კარგავენ თავის იდენტობას აფხაზეთში.

– თვითონ აფხაზები თუ რეაგირებენ ამაზე?

– ამას ბევრი გრძნობს. რეაქცია უფრო ახალგაზრდობისაგან მოდის. ბევრი აფხაზი ახალგაზრდა ევროპისკენ იყურება, მაგრამ იქ ჩასვლა შეზღუდული აქვს. ახალგაზრდებში არსებობს იმის შეგნება, რომ აფხაზეთის ვითომ სახელმწიფოებრიობა შირმაა, სინამდვილეში კი აფხაზეთი რუსეთს აქვს ოკუპირებული. რუსეთის სპეცსამსახურები და ადგილობრივი რეჟიმი ყველანაირად აბრკოლებენ აფხაზეთის ინტეგრაციას დანარჩენ საქართველოსთან. ჩვენ აფხაზეთის მოსახლეობის უმძიმეს მდგომარეობაზე საქმის კურსში უკვე სრულად ჩავაყენეთ საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო დონეზე ყველაფერი იციან, მაგრამ მსოფლიოში გაჩენილმა ახალმა ცხელმა წერტილებმა აფხაზეთის პრობლემატიკა უკან გადასწია. იმედია, მერე ჩვენთვისაც მოიცლიან.

გია ვოლსკი: „კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა“

მიიღო თუ არა საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი

შორენა მარსაგიშვილი

ერთსქესიანთა ქორწინების შესაძლო დაკანონების გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი დასასრულს უახლოვდება. გუშინ, 9 თებერვალს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნა.

ამ სარჩელით სასამართლოს ლგბტ პირების უფლებადამცველმა გიორგი ტატიშვილმა მიმართა.

არასამთავრობო ორგანიზაციები: „ვიზგი – ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, „ლგბტ საქართველო“, „იდენტობა“ და „თემიდა“ ემიჯნებიან გიორგი ტატიშვილს და საზოგადოებას მოუწოდებენ, არ დაიჯეროს, თითქოს ეს ინიციატივა ლგბტ პირებისგან მოდიოდეს და არ მოახდინოს გიორგი ტატიშვილის პიროვნების ლგბტ ჯგუფთან იდენტიფიცირება.

განმარტებები გააკეთა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმაც. ის განმარტავს, რომ შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ პირველ რიგში გადაწყდება, სარჩელი არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციაში.

– სარჩელი ჯერ მხოლოდ კანცელარიაში დარეგისტრირდა და შემდგომ რიგითობის მიხედვით დაიწყება განხილვა. პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს, რამდენად ჩვენი იურისდიქციაა ეს სარჩელი. საუბარია ერთისა და იმავე სქესის წარმომადგენლების ქორწინებაზე. შინაარსს ჯერ არ ვიცნობთ და, როცა გავეცნობით, შესაბამისი პროცედურების მიხედვით გადაწყდება, რამდენად მისაღებია სარჩელი საერთოდ განსახილველად, – განმარტავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

ამასობაში ცნობილი ხდება, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა.

– ბოლო პერიოდში გაკეთდა განცხადებები, რომ უნდა მოხდეს საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირება, რომ ოჯახი წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ერთობას და ზუსტად ის ფორმულირება, რომელიც არსებობს სამოქალაქო კოდექსში, გადატანილ იქნეს საკონსტიტუციო ნორმად. ჩვენ

ამის თაობაზე შარშან დავიწყეთ საუბარი, – განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა გია ვოლსკიმ.

კონსტიტუციაში ამ ნორმის ჩაწერის ინიციატივით გასულ წელს ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა, რომელსაც იმ პერიოდისთვის პრემიერის პოსტი ეკავა.

ვოლსკის განმარტებით, მეოცნებე დეპუტატებს უკვე მომზადებული აქვთ პროექტი, რომელიც ადამიანის უფლებათა კომიტეტში განიხილება.

– რაღაც დეტალებს ვამუშავებთ. კონსულტაციები მიმდინარეობს კოალიციაში. ყველას ვთხოვთ, თავი შეიკავონ ზედმეტი რადიკალიზმისგან, ზედმეტი განცხადებებისა და გამწვავებისგან. ამას სჭირდება საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა და დღეს თუ ხვალ ნახავს დღის სინათლეს, – აღნიშნავს ვოლსკი.

მისი განცხადებით, ის ფორმა, რომელსაც ხელისუფლება შემოგვთავაზებს, ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოქმედებს.

– ბევრი ევროპული ქვეყანა სწორედაც რომ ასეთი სტანდარტით სარგებლობს, რომელსაც ჩვენ შემოგვთავაზებთ. არსებობს ქვეყნები, სადაც არ არსებობს ერთსქესიანთა ქორწინება, მაგრამ არსებობს ურთიერთობის რაღაც ფორმა, რომელიც საკუთრების თემაზეა ორიენტირებული, არსებობს ზოგ ქვეყანაში დაშვებულობაც და ამისგან არავინ ქმნის დაძაბულობას.

პატარა საქართველო, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს გინდა ჩრდილოეთიდან, გინდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან, ვალდებულია იფიქროს იმ ტრადიციაზე, რომელიც გააჩნია და რითაც დღემდე მოვიდა, იფიქროს იმ ურთიერთობასა და ტოლერანტობაზე, რომელიც გაგვაჩნია ნებისმიერი სახის უმცირესობასთან. არ ვგულისხმობ ეროვნულ უმცირესობას, რადგან ეს გაცილებით სხვა კატეგორიაა, – განმარტავს ფრაქციის თავმჯდომარე.

ვოლსკის თქმით, კონსტიტუციაში უკვე წერია ქალისა და ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ იმ კონტექსტში, რასაც ოჯახი ჰქვია და ხდება ამ ნორმის უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება.

– კონსტიტუციაში მეუღლეები არის აღნიშნული, მაგრამ ამ აღნიშვნასთან ერთად მითითებულია ქალისა და ბავშვის უფლებები. ეს ნორმა უფრო მკაფიო უნდა გავხადოთ და არა რაღაც ახალი შემოვიტანოთ. ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება ქვეყნისთვის, რომელსაც გარკვეული ტრადიცია, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია.

ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ არჩევნებამდე გამოვიდა პოზიციით, რომ ის ტრადიცია, ის კულტურული და ეროვნული მემკვიდრეობა იქნება ამოსავალი წერტილი ჩვენი მომავალი პოლიტიკური საქმიანობისა და სწორია ეს თემა, – აღნიშნა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

გოგი თოფაძე: „მარგველაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს!“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერ გოგი თოფაძის განცხადებით, ფრაზა, რომელიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებმა შეურაცხყოფად მიიღეს, შეეშალა და არავისი შეურაცხყოფაზე არ უფიქრია.

გოგი თოფაძემ ამის შესახებ „კვირის“ პრესკლუბში განაცხადა.

თოფაძის განცხადებით, თავისი ნაშრომის გამო ხალხის წინაშე ბოდიში პრეზიდენტმაც უნდა მოიხადოს.

ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერმა მისი პრეტენზიები და შენიშვნები პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიმართ 4 პუნქტად ჩამოაყალიბა.

– ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, ძალიან ბევრი ქვეყნის პირველი პირები ბევრად მკაცრ კრიტიკას იტანენ, იმიტომ რომ ეს დემოკრატიის ნაწილია. მე ერთი სიტყვა, სამედიცინო ტერმინი შემეშალა, მაგრამ, სანამ გამოვიდოდი, უკვე იყო ისეთი განწყობა, რომ რაც უნდა მეთქვა იმ დღეს, უარყოფითად იქნებოდა აღქმული. მე პრეზიდენტს 4 შენიშვნა მივეცი:

1. ქართველი კაცის საუკეთესო თვისებაა მადლიერების გრძნობა. ის, რომ დღეს პრეზიდენტია, იმის დამსახურებაა, რომ მას კოალიციამ დაუჭირა მხარი, ის კი არჩევიდან ერთ თვეში ოპოზიციაში გადავიდა.

2. შენიშვნა მივეცი მას იმის გამო, რომ გადავიდა იმ სასახლეში, რომელზეც წინასწარ იძახდა, რომ არ გადავიდოდა, რადგან მისი შენახვა ბიუჯეტს მილიონები უჯდებოდა. ამ განცხადების შემდეგ ის იქ არ უნდა შესულიყო.

3. ძალიან არ მომეწონა და ჩვენი ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედა იმან, რომ ერთი ქვეყნის 2 ხელმძღვანელი პირი ვერ თანხმდებოდა იმაზე, თუ ვინ წავიდოდა საზღვარგარეთ ამა თუ იმ ფორუმზე. ეს აქ უნდა გადაწყვეტილიყო. პრეზიდენტს უნდა ახსოვდეს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და აქ უნდა მოელაპარაკათ და არა იქ, სადაც ყველამ დაინახა, რომ საქართველოში რაღაც არეულობაა. ეს მე პრეზიდენტს დავაბრალე, იმიტომ რომ მას უნდა გაეკეთებინა პირველი ნაბიჯები, რომ შეთანხმებულიყვნენ, იმის მაგივრად, რომ კონფრონტაცია დაეწყოთ ქვეყნის საზიანოდ.

4. რაც არ უნდა მეთქვა მე იმ დღეს, იმ 15 წუთში უარყოფითად იქნებოდა აღქმული. აჟიტირება იმაზე, რომ მე ერთი სამედიცინო ტერმინი შემეშალა, არ უნდა ყოფილიყო. მე მისი ნაშრომი 2 დღით ადრე მომიტანეს. რომ მცოდნოდა, მას ასე უყვარდა ქართველი ხალხი, ამაზე მის არჩევამდე ვილაპარაკებდი. დაუნი და დებილი, ამაზე იყო აგორებული მთელი თქვენი კამპანია. ზოგი არხი ახმოვანებს, ისე თითქოს მე ბოდიში პრეზიდენტს მოვუხადე. ასე არ იყო, მე ბოდიში მოვუხადე იმ ხალხს, ვის წინაშეც შემეშალა. ვთხოვ პრეზიდენტს, რომ მან თავის „მეცნიერულ ნაშრომში“ ბოდიში მოუხადოს ხალხს. მე ბოდიში მოვუხადე იმ ოჯახებს, იმ ავადმყოფებს, ვისაც ჩემი ნათქვამი შეეხო. ისე უნდა გითხრათ, რომ დაუნი უფრო მსუბუქი დაავადებაა, ვიდრე დებილობა, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

2016, 10 თებერვალი, №33

სირიაში რუსული სპეცრაზმი აღმოჩნდა

10 თებერვალს რუსეთის ტელევიზიის პირველ არხზე გავა დოკუმენტური ფილმი. მასში მოთხრობილია რუსული სპეცრაზმის შესახებ, რომელიც სირიაში იბრძვის.

ინფორმაცია სირიაში რუსული სპეცნაწილების ყოფნის შესახებ დასავლურ მედიაში პერიოდულად ქვეყნდებოდა. ოფიციალური მოსკოვი ამას კატეგორიულად უარყოფდა და ამტკიცებდა, სირიაში მხოლოდ რუსული ავიაცია იმყოფებაო.

ახლაც პუტინის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა:

– ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ იმ ინფორმაციაზე, რომელიც რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით გავიდა!

ჟურნალისტებს ინფორმაცია რამზან კადიროვმა მისცა. მან განაცხადა, რომ აღნიშნულმა სპეცრაზმმა მომზადება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გაიარა. ის ძირითადად ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებითაა დაკომპლექტებული. სირიაში ისინი ტერორისტების ზურგში იმყოფებიან. მათი მეშვეობით, დივერსიულ-სადაზვერვო მუშაობის აწყობა მოხერხდა.

აგენტურული ქსელი უშუალოდ ტერორისტების ხელმძღვანელთა რიგებშიც შეიქმნა.

– ასეთი საქმიანობა ძალზე საშიში და სარისკოა. ჩვენს სპეცრაზმელთა შორისაც ძალიან დიდი დანაკარგებია, – თქვა კადიროვმა.

ცნობამ სირიის ტერიტორიაზე რუსული სპეცრაზმის არსებობის შესახებ გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. ამერიკელი ექსპერტი რობერტ კაპლანი თვლის, რომ რუსეთმა კურსი სირიაში პრორუსული რეჟიმის დამყარებისკენ აიღო, ეს კი ძალიან საშიში თამაშია.

– რუსეთი დამოუკიდებლად სირიული კონფლიქტის გადაწყვეტას ვერ შეძლებს, პრორუსული რეჟიმის დამყარების მცდელობა კი ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს, – აცხადებს კაპლანი.

გერმანელი ექსპერტი კრისტოფერ შტრახი ეთანხმება მოსაზრებას, რომ რუსეთი სირიის ომში „გაიჭედა“, იმასაც, რომ მოსკოვი ხანგრძლივ, მომქანცველ ომს ვერ გაუძლებს. ექსპერტის აზრით, დღეს პრობლემას წარმოადგენს არა რუსეთის სიძლიერე (როგორც ეს საბჭოთა ეპოქაში იყო), არამედ მისი სისუსტე.

გაჭიანურებული ომი სირიაში ბიძგს მისცემს დეზინტეგრაციულ პროცესებს თავად რუსეთის ფედერაციის შიგნით. გამორიცხული არაა, რომ ამ შემთხვევაში პუტინის რეჟიმი მემარჯვენე სამხედრო დიქტატურამ ჩაანაცვლოს.

– პუტინი ასე თუ ისე პროგნოზირებადი პოლიტიკოსია. რა იქნება პუტინის შემდეგ? – კითხულობს შტრახი.

ომი სირიაში გრძელდება

ნიკა თევზაძე

ეკატერინბურგში ისლამისტი-ტერორისტები დააკავეს

ეკატერინბურგში დაკავებულია ისლამური სახელმწიფოს 8 მებრძოლი. მათ ჩამოერთვათ ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები, დანები.

– გამოძიებით დადგენილია, რომ ხსენებული ჯგუფი გეგმავდა ტერაქტებს როგორც ურალში, ასევე მოსკოვსა და პეტერბურგში, – იტყობინება ფედერალური უშიშროების პრესსამსახური.

რუსი ჩეკისტების ცნობით, აღნიშნულ ჯგუფს საგანგებოდ გაწვრთნილი ტერორისტი ედგა სათავეში, რომელიც რუსეთში თურქეთიდან შემოვიდა.

– ახლა ეს პიროვნება დაკავებულია, – აცხადებს ფსბ-ს პრესცენტრი.

თურქეთმა ლტოლვილებისთვის საზღვარი ჩაკეტა

თურქეთის ვიცე-პრემიერმა კურტულმუშმა განაცხადა, რომ თურქეთს ლტოლვილების მიღება აღარ შეუძლია და ამიტომ საზღვარს კეტავს.

ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, რომ სირიიდან თურქეთში უკვე 3 მილიონზე მეტი ადამიანი გადავიდა, თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა კი განაცხადა:

– თუკი საშუალება მოგვეცემა, საზღვარს გავხსნით და ქვეყანაში ჩვენს ძმებს შემოვუშვებთ. ახლა ამის საშუალება არ გვაქვს.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თურქეთის ხელისუფლებას ლტოლვილების მიღებისაკენ მოუწოდა. მერკელი აპირებს ოფიციალური ვიზიტით ჩავიდეს ანკარაში, სადაც პრეზიდენტ ერდოღანს შეხვდება.

– ჩემი მიზანია, დავარწმუნო თურქეთის პრეზიდენტი, რომ ლტოლვილების მიღება აუცილებელია, – თქვა მერკელმა.

ლიტვა რუსეთის ენერგოდამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა

2016 წელს ლიტვა ნორვეგიისგან უფრო მეტ გაზს მიიღებს, ვიდრე რუსეთისგან. გაზპრომმა ლიტვურ ბაზარზე მონოპოლისტის პოზიცია დაკარგა.

ლიტვა რუსეთისაგან ენერგოდამოკიდებულებისგან გათავისუფლდა.

ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ განაცხადა, რომ რუსეთის ენერგოდამოკიდებულებისგან გათავისუფლება ისეთივე გრანდიოზული მოვლენაა, როგორც თავის დროზე დამოუკიდებლობის მოპოვება იყო.

– ჩვენ ამისაკენ წლების მანძილზე მივდიოდით. ჩვენმა მიზანმიმართულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, – აცხადებს გრიბაუსკაიტე.

რუსეთის ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა

ფსკოვის მახლობლად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა.

დაღუპულია 4 ადამიანი. თავად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კომენტარი არ გაუკეთებია.

ნადეჟდა სავჩენკოს გაათავისუფლებენ?



უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს ადვოკატმა მარკ ფეიგინმა განაცხადა, რომ მისი კლიენტის უდანაშაულობა დამტკიცებულია.

ფეიგინმა აღნიშნა, რომ სავჩენკოს უდანაშაულობა თვით კრემლშიც კი ეჭვს აღარ იწვევს. მიუხედავად ამისა, იმედი იმისა, რომ სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს, არ არსებობს:

– სავარაუდოდ, სავჩენკოს 20-25 წლით პატიმრობას მიუსჯიან, – აცხადებს ფეიგინი.

ადვოკატის აზრით, ამის შემდეგ სავჩენკოს უკრაინულ მხარეს გადასცემენ, რათა სასჯელი სამშობლოში მოიხადოს. ამით პუტინი რუსი ობივატელის წინაშე სახეს შეინარჩუნებს, აქაოდა საერთაშორისო ნორმები დავიცავი, სავჩენკოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოვუტანეთ, უკრაინელებმა კი ის გაათავისუფლესო.

საფრანგეთის პოლიციამ ქურთების აქცია დაშალა

პარიზში ქურთებმა თურქეთის საელჩოსთან დემონსტრაცია მოაწყვეს.

აქციაში 300-მდე მოქალაქე მონაწილეობდა.

მას შემდეგ, რაც ქურთებმა საელჩოს შენობაზე მტრული პლაკატები გააკრეს, შემდეგ კი მას ღაყე კვერცხები დაუშინეს, საფრანგეთის პოლიციამ ქურთების აქცია დაშალა.

დაკავებულია 30-ზე მეტი ადამიანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ქირავდება

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● ქირავდება 18 კვადრატული მეტრის კომერციული ფართი მეტრო „ახმეტელთან“, ხიზანიშვილის 29-ის უკანა მხარეს, ბაზარში შესასვლელ გზაზე, II სართულზე, სველი წერტილებით, ატმორით. გამოდგება საოფისედ, სამედიცინო კაბინეტად. საარჩევნო შტაბებისთვის შეიძლება პირველი სართულის მიმატებაც. ტელ: 591-68-90-20; 599-94-51-82.

საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში ჩავიდა

გერმანიასთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთი დღე დაისვენა, შემდეგ მსუბუქად ივარჯიშა და მორიგი შეხვედრის ჩასატარებლად პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც რაგბი ევროპის მეორე ტურის მატჩში ადგილობრივ ლობუშებს დაუპირისპირდება.

ბორჯღალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა შემადგენლობაში ცვლილებები შეიტანა და პორტუგალიის დედაქალაქში 28 მორაგბე იახლა. გერმანიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ ჰეიგმა პირველხაზელი დავით ქუბრიაშვილი (მონპელიე) და მეორეხაზელი ვახტანგ მაისურაძე (ალბი) გამოიძახა. ლისაბონში არ წაუყვანია რევაზ ჯინჭველაშვილი, მურაზ გიორგაძე, ნოდარ ჭეიშვილი და გიორგი მჭედლიშვილი.

ჯერჯერობით ტრავმებს იშუშებენ მერაბ შარიქაძე, მერაბ კვირიკაშვილი და თამაზ მჭედლიძე, მაგრამ ლისაბონში გუნდთან ერთად არიან და, თუ საშუალება მიეცემათ, პორტუგალიელებთან ითამაშებენ.

პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალან სმიტმა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო, 40-კაციანი, გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. გეტყვით იმასაც, რომ ლობუშების უკანა ხაზს ასევე ჩვენთვის კარგად ნაცნობი დონ კასკი წვრთნის, რომელიც იმავე საქმეს საქართველოს ნაკრებშიც აკეთებდა.

მატჩი ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე 13 თებერვალს, თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

საქართველოს ნაკრები:

წინა ხაზი: მიხეილ ნარიაშვილი, დავით ქუბრიაშვილი (ორივე მონპელიე), კარლენ ასეიშვილი (ბრივი), შალვა მამუკაშვილი (გლაზგო), ზურაბ ჟვანია, გიორგი მელიქიძე (ორივე სტად ფრანსე), ანტონ ფეიქრიშვილი (ბაიონი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), გიორგი ჩხაიძე (ლილი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), საბა შუბითიძე (აკადემია), ლაშა ლომიძე (ბეზიე), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი), ბექა გორგაძე (მონ დე მარსანი);

უკანა ხაზი: ვასილ ლობჟანიძე (არმაზი), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ლოკომოტივი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ყოჩები), მერაბ შარიქაძე (ორიაკი), დავით კაჭარავა (ენისეი), თამაზ მჭედლიძე (აჟენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), გიორგი ფრუიძე (აია), გიორგი აფციაური (არმია), მერაბ კვირიკაშვილი (ლელო), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

პორტუგალიის ნაკრები:

ფრანსიშკუ დომინგესი (ექსი), მაიკ ტაჯერი (აჟენი), ვოლოდიმირ გრიხი (პერპინიანი), მაქსიმ ვასი, პედრო ბეტანკური (ორივე – კლერმონი), ტომაშ აპელტონი (დარლინგტონი), ბრუნო როჩა, დუარტე მარკესი (ორივე ტექნიკო), ბრუნო მედეიროში, ჟოაო ალმეიდა, ვაშკუ რეალი, ფრანსიშკუ ამარალი, დიოგო ვან დენ ტოორნი, ლუიშ კერქუნინო, სებასტიანო ვილაქსი, მიგელ მასედო, ჟოაო ლინო, ფრანსიშკუ მაგალიაენი, ფრანსიშკუ ვიეირა, მანუელ კოსტა, ფრანსიშკუ აპელტონი, გონსალო ფორუ, ტომაშ ნორონა (ყველა კდუპ), ჯოზე კონდე, სალვადორ ვასალუ, ფრანსიშკუ სოუზა, ნუნუ ბეტანკური, კლაუდიო ფრანკა (ყველა კასკაისი), ჟოაო სილვა, მანუელ პიკაო (ორივე კოიმბრა), ჟან ბატისტ ლორენცო (აგრონომია), ნუნუ სოუზა, ჟოზე ვარეტა, მანუელ ვიელა, ლუის სალემა, ლუის პორტელა, გონსალო უვა, ჟოაო ტრავასოსი, დუარტე დინისი (ყველა დირეიტო).

13 თებერვალს, ჩვენი მატჩის გარდა, კიდევ ორი შეხვედრა გაიმართება – რუსეთი შინ დაუხვდება გერმანიას, ხოლო ესპანეთს ეწვევა რუმინელთა ეროვნული გუნდი.

საკუთნიო ცხრილი:

1.საქართველო	1	1	0	0	59:7	5
2.რუმინეთი	1	1	0	0	39:14	5
3.რუსეთი	1	1	0	0	22:20	4
4.ესპანეთი	1	0	0	1	20:22	1
5.პორტუგალია	1	0	0	1	14:39	0
6.გერმანია	1	0	0	1	7:59	0

ამერიკის ნაკრები ოლიმპიადაზე უარს ამბობს

ზიკას ვირუსი იმდენად აქტუალური გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრების წევრებმა, შესაძლოა, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშები გამოტოვონ. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო როიტერი ავრცელებს.

აშშ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე მიმართა სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ ფედერაციებს, რომ სპორტსმენები არ უნდა გაემგზავრონ თამაშებზე, თუ თავს უსაფრთხოდ არ იგრძნობენ.

როგორც ცნობილია, ბრაზილიის მთავრობამ ფეხმძიმე ქალებს რჩევა მისცა, რათა თავი შეიკავონ 2016 წლის ოლიმპიადაზე დასწრებისგან. ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ჟაკ ვაგნერმა აღნიშნა, რომ ადამიანების დანარჩენი ჯგუფებისთვის ზიკას ვირუსი სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს.

საერთო შეფასებით, ამერიკულმა მხარემ საკუთარი განცხადებით დაწყვიტა რიო 2016-ის საორგანიზაციო კომიტეტის მაქსიმალურად მოტივირება, რათა მან სასწრაფოდ იზრუნოს პრობლემის გადაწყვეტაზე.

ზეპ ბლატერი: „მე და პლატინი ზედმეტად გავლენიანები ვიყავით და ამიტომ გაგვისწორდნენ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– შვეიცარიის სასამართლოში აპირებთ განაჩენის გასაჩივრებას, მაგრამ არ დაიღალეთ? თქვენ ხომ 40 წელი იმუშავეთ ფიფაში.

– ვიბრძოლებ ბოლომდე. ყველაზე მეტად ორი რამ მაღიზიანებს. პირველი: არაწესიერ ადამიანად გამომიყვანეს. მეორე: დამაბრალეს, რომ, თითქოს, რაღაც ფული გადავიხადე იმისთვის, რომ 2011 წელს ხელახლა ავერჩიეთ პრეზიდენტად და ევროპული ქვეყნების ხმები ვიყიდე. სირცხვილია და აღმაშფოთებელია. ვფიქრობ, ბატონი პლატინი სწორად მოიქცა, 18 დეკემბრის დაკითხვაზე რომ არ მივიდა (წინა დღეს ბლატერს 8-საათიანი დაკითხვა მოუწყვეს). მან თქვა, უკვე უჩვენოდ მიიღეს გადაწყვეტილება და აზრი აღარ აქვსო. მხოლოდ კორუფციის ბრალდება მოგვიხსნეს. კორუფციაც რომ ყოფილიყო, სამუდამო დისკვალიფიკაციას მივიღებდით. სასაცილოა ჯარიმის საკითხიც. პლატინი, როგორც ჩანს, ჩემზე მდიდარია, უნდა იყოს. მიშელი 74.000 ევროს გადაიხდის, მე – 46.000. სასაცილოა ის, რომ სამუდამო დისკვალიფიკაცია, რომ მოეცათ, ამ შემთხვევაში ჯარიმის გადახდა არ გვიწევდა.

– განაჩენის გაცხადების მერე თქვენ თქვით, რომ დაბრუნდებით. რას ნიშნავდა ეს? მიმართავთ თუ არა სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციებს მხარდაჭერისთვის?

– ბევრმა ფედერაციამ გამომიგზავნა გამამხნევებელი წერილი და მხარდაჭერა აღმითქვა. ძირითადად, აფრიკულმა ქვეყნებმა, მაგრამ იყვნენ ევროპული ქვეყნებიც. მათ მომწერეს ხელი არ აიღო, არ მიუშვა ყველაფერი, უნდა იბრძოლოო. ყველა ამას მეუბნება.

– თითქოს ამ ყველაფრისთვის პოლიტიკური ხასიათის მიცემას აპირებთ.

– საარჩევნო კამპანიაში არ ჩავერევი. ხუთივე კანდიდატისადმი ნეიტრალური ვიქნები, თუმცა მათგან ზოგიერთს უნდა, რომ მხარდაჭერა გამოვუცხადო. არ ვიცი, ისურვებს თუ არა პლატინი პოსტზე დაბრუნებას, სულაც რომ გაამართლონ. უეფამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არჩევნები მაისში ჩატარდება. პირადად მე კი ბოლომდე ვიბრძოლებ ჩემი პატიოსნებისა და სუფთა სახელისთვის. წესდებაში დეტალურადაა მითითებული, რომ როდესაც პალატა ვინმეს რამეში ადანაშაულებს, უტყუარი ფაქტები უნდა წარმოადგინოს. უნდა დაამტკიცონ, რომ რაღაცაში დამნაშავენი ვართ. ისინი კი ამბობენ, რომ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ უდანაშაულოები ვართ. ეს ყველა იურიდიულ ნორმას ეწინააღმდეგება.

– ბოლო წლებში ძალიან ბევრი სკანდალი იყო და ბევრი ადამიანი დაისაჯა. მაგალითად, გენერალური მდივანი ვალკე. ნუთუ ფიფაში მართლა ამდენი პრობლემაა?

– მათზე ახლა ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ჩემი გადადგომის ერთ-ერთი მიზეზიც ეს არის. გადაწყვეტილება ხელახლა არჩევიდან 4 დღეში მივიღე და განცხადებაც გავაკეთე. იმ დროისთვის ფიფაზე უკვე დიდი ზეწოლა იყო ამერიკის ხელისუფლების მხრიდან. ეფბიას თქმით, ჩვენ მაფიოზური ორგანიზაცია ვართ. როგორც კი გადავდექი, სიტუაცია შეიცვალა. ახლა ფიფა კრიმინალური დაჯგუფება კი აღარ არის, მსხვერპლია და ამერიკელები ფედერაციების დადანაშაულებაზე გადაერთვნენ. ოღონდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ევროპული ფედერაციების გარდა, რაც საინტერესოა... უეფაში ჯერ კორუფციის არცერთი ფაქტი არ აღმოუჩენიათ.

– ეთიკის კომიტეტის ამ გამოძიებასა და საქმეს მიშელ პლატინიმ „პოლიტიკური“ უწოდა. ეთანხმებით?

– სავარაუდოდ, ასეც არის. ვინ წამოიწყო და ააგორა ეს ყველაფერი? ვიცი, რომ პლატინის ურთიერთობა გაუფუჭდა ამჟამინდელი კანდიდატებიდან ერთ-ერთთან. იორდანიის პრინც ალიზე ვსაუბრობ. ის თავის დროზე პლატინის დაეხმარა, არჩევნებისას. თუმცა, რა როლი შეიძლებოდა ამ ისტორიაში ჰქონოდა და შეესრულებინა პრინც ალის? არ ვიცი. ვფიქრობ და ვიზიარებ აზრს, რომ ეს ყველაფერი უფრო პლატინის წინააღმდეგ იყო ჩაფიქრებული და არა ჩემ წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს! მალე 80 წლის გავხდები.

– ბოლო პერიოდში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ, თითქოს, დიდად არც თქვენ გინდოდათ ფიფას სათავეში პლატინი მოსულიყო. ეს გასაკვირი არც არის, 28 მაისს მან ხომ თქვენი გადადგომა მოითხოვა.

– ჩვენ ყოველთვის ვთანხმდებოდით ერთმანეთში და კარგი ურთიერთობა გვქონდა. იდეაში, ერთ დღესაც ის ჩემი შემცვლელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა. შესაძლოა, სხვა კონფედერაციებს ევროპის კიდევ უფრო გაძლიერება და გავლენიანობა არ მოეწონათ და შეეშინდათ ამის. ვითარებიდან გამომდინარე, პლატინიმ წინა წელს თქვა, რომ კენჭს აღარ იყრიდა.

– ყატარის გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის თქვენთვის შენელებული მოქმედების ნაღმივით იქცა?

– არავითარ შემთხვევაში. ყატარის გამარჯვების შემდეგ ამ ქვეყანასთანაც ისე დავიწყე მუშაობა, როგორც რუსეთთან. დოჰაში რამდენჯერმე ვიყავი. ნამდვილი დარტყმა კი 27 მაისს მივიღე, როდესაც შვეიცარიაში ამერიკელები ჩამოვიდნენ, თანაც ფიფას მთავარ ოფისში. ეს შოკისმომგვრელი იყო. ჯერ ბოლომდე არ გამოვფხიზლებულვარ.

– 5 წლის მერე რატომ გაგახსენდათ და მხოლოდ ახლა რატომ აღნიშნეთ, რომ ყატარისთვის მუნდიალის ჩატარების უფლების მინიჭებაში ნიკოლა სარკოზი ჩაერია?

– მთლად 5 წლის მერე არა. ეს ისედაც საყოველთაოდ ცნობილი ისტორიაა. ეს ყველაფერი უკვე დაიწერა და ითქვა პრესაში. ხანდახან წარსულის გახსენება საჭიროა სხვადასხვა რაღაცაში გარკვევის მხრივ.

– თავისი ჩარევით საფრანგეთმა მართლა ასე შეცვალა ისტორია? ყატარმა ხომ 14 ხმა დააგროვა არჩევნებში, აშშ-ს კი 8 ხმა ერგო.

– ჩემი აზრით, ფეხბურთი ისტორიაზე ცუდ გავლენას არასდროს ახდენს. თუმცა, ამჟამად, 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ყველა თავისებურად იყენებს, ამერიკაც, აღმოსავლეთიც, დასავლეთიც... მე კი შუაში ვარ გაჩხერილი, თავს კრივის სავარჯიშო „მსხალივით“ ვგრძნობ. ჩემი დრო, ალბათ, წავიდა, ამიტომაც გადავწყვიტე წასვლა, თუმცა სანამ არჩევნები არ ჩატარდება, ვინც რა არ უნდა თქვას, მე ფიფას არჩეული პრეზიდენტი ვარ.

– 2018 და 2022 წლების მუნდიალების მასპინძლობის საქმესთან დაკავშირებით შვეიცარიის სასამართლოში 133 ეპიზოდია, რომლებშიც სხვადასხვა საეჭვო ფინანსური ოპერაცია ფიგურირებს. საბოლოო ჯამში, ჩატარდება ეს ჩემპიონატები რუსეთსა და ყატარში?

– ყველაფერი ისე იქნება, როგორც აღმასკომმა გადაწყვიტა. ჩემპიონატები ჩატარდება. თუ ვინმე შესაბამისად არ მოიქცა არჩევნებამდე ან მის მერე, პასუხი უნდა აგოს, ეს ცალკე თემაა. არის უცნაური გადარიცხვები და ეჭვები, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა. ადრე შვეიცარიულ ბანკებს ყველა ენდობოდა, ახლა ეს ავტორიტეტი ცოტა შეილახა.

– ამბობენ, რომ წიგნს წერთ. როდის უნდა გამოუშვათ? ეს მემუარებია?

– დიახ, ვწერ. ეს უფრო სხვადასხვა ისტორიის კრებული იქნება და არა ბიოგრაფია ან აღსარება. იმედი მაქვს, რომ ფიფას კონგრესის შემდეგ მოხერხდება წიგნის დაბეჭდვა. ბევრ უცნობ ფაქტს და ისტორიას გაიგებთ, სახალისოსაც.

– რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თქვა, რომ თქვენ მშვიდობის დარგში ნობელის პრემია დაიმსახურეთ.

– მან თქვა, რომ სპორტი იმსახურებს მსგავს ჯილდოს. მშვენივრად ვიცი, როგორ გადასცემენ ნობელის პრემიას და, დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში საფეხბურთო ოჯახიდან მას ვერავინ მოიპოვებს. ფეხბურთი მშვიდობისთვის მუშაობს. არაერთი ქვეყნის ხელისუფალს შევხვედრივარ და ბევრი მიიჩნევს, რომ ბლატერი სულაც არ არის ცუდი ბიჭი.

– შვეიცარიაში თქვენზე კიდევ ერთი სერიოზული საქმე აღიძრა, არა მხოლოდ მიშელ პლატინისთვის თანხის მიცემის გამო, არამედ ჯეკ უორნერთან კონტრაქტის გამოც და კარიბებზე 2010 და 2014 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ტრანსლირების უფლებების გაცემისას გარკვეული მაქინაციების გამოც.

– დიახ, არის ასეთი საქმეც. თუმცა განაჩენამდე ჯერ შორია. მე კი ვერავინ გადამარწმუნებს, რომ სინამდვილეში ყველაფერი 27 მაისის მოვლენებს უკავშირდება (იმ დღეს ციურიხში ფიფას რამდენიმე ჩინოვნიკი დაიჭირეს).

– რას გააკეთებთ 26 თებერვლის ანუ პოსტიდან საბოლოოდ და ოფიციალურად წასვლის მერე?

– ჯერ საკუთარ ჯანმრთელობაზე ვზრუნავ. გარკვეული პრობლემა მქონდა, ახლა უკეთესობა იგრძნობა. უბრალოდ, ცხოვრება მინდა. ვფიქრობ, რომ წინ კიდევ მთელი ცხოვრებაა. ჩემს საყვარელ მეგობართან ქალბატონთან და ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა მსურს. რადიოში ჟურნალისტადაც ვიმუშავებ. რადიო „ფრანს ინტერნასიონალი“ უკვე შემომთავაზა საფრანგეთის თასის მატჩი წაყვანა.

– ახლა რომ თქვენ წინ მიშელ პლატინი იჯდეს, რას ეტყოდით?

– ვეტყოდი – ხედავ? ჩვენ მათთვის ზედმეტად გავლენიანი ფიგურები ვიყავით. ჰოდა, ორივეს ერთდროულად გაგვისწორდნენ. მართალია, ჩვენ ხანდახან გვქონდა განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ გავიმეორებ – პლატინი პატიოსანი ადამიანია.

შედეგები

8 თებერვალი
ფეხბურთი

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ესპანიოლი-სოსიედადი 0:5

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	22	17	3	2	56-17	54
2.ატლეტიკო	23	16	3	4	34-11	51
3.რეალი	23	15	5	3	66-21	50
4.ვილიარეალი	23	13	6	4	29-18	45
5.სევილია	23	10	7	6	32-24	37
6.ბილბაო	23	10	5	8	33-30	35
7.სელტა	23	10	5	8	34-36	35
8.ვიბარი	23	9	6	8	36-31	33
9.დეპორტივო	23	6	13	4	31-28	31
10.მალაგა	23	8	6	9	21-20	30
11.სოსიედადი	23	7	6	10	31-34	27
12.ხეტაფე	23	7	5	11	26-35	26
13.ბეტისი	23	6	7	10	16-31	25
14.ვალენსია	23	5	10	8	26-24	25
15.რაიო	23	6	5	12	30-47	23
16.ხიხონი	22	6	4	12	24-36	22
17.ესპანიოლი	23	6	4	13	20-46	22
18.ლას პალმასი	23	5	6	12	23-36	21
19.გრანადა	23	5	5	13	25-46	20
20.ლევანტე	23	4	5	14	21-43	17

გეჰმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-დუისბურგი 2:1

იტალია. სეჰია ბ

ტრაპანი-კომო 2:2

საფჰანგეთი. მე-2 ლიგა

ლე ავრი-დიჟონი 0:2

ჰოჩუგალია. ჰიმეჩა ლიგა

სპორტინგი-რიუ ავე 0:0

საბეჭდეთი. სუპეჩლიგა

პანიონიოსი-პანეთოლიკოსი 2:0

თუჩქეთი. სუპეჩლიგა

ქაშიმფაშა-გენჩლერი 0:1

მოამზადა მანეკილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ილია მეორე: „საქართველო ყველაფერს აკეთებს, რომ ევროსტრუქტურების წევრი გახდეს“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 9 თებერვალს რუმინეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ვალერიუ შტეფან ზგონეას შეხვდა.

შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის ისტორიულ ურთიერთობებზე ისაუბრეს.

პატრიარქმა შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე, ქვეყნის კურსსა და რეგიონში არსებულ ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება.

– საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მონაწილე გახდეს ევროპის სტრუქტურების. დღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. არასდროს კონფლიქტი არ ყოფილა აფხაზებსა და ქართველებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზები და ოსები გაიგებენ, რომ ეს შეცდომა მათ მიერ იყო დაშვებული, – ბრძანა ილია მეორემ.

ნიუსპრესი

აჭარაში ღორის გრიპით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა

აჭარაში ე.წ. ღორის გრიპით 66 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. როგორც აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში აცხადებენ, გრიპის ვირუსმა მძიმე ანამნეზით, რომელსაც დიაბეტი ერთვოდა, ლეტალური შედეგი გამოიწვია.

ამ დროის მონაცემებით, აჭარაში ღორის გრიპით ხუთი ადამიანი გარდაიცვალა. გრიპისა და მწვავე რესპირატორულ დაავადებათა სიმპტომებით აჭარის ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებს სულ 305-მა პაციენტმა მიმართა, სტაციონარში მკურნალობის კურსს 127 პაციენტი გადის, რეანიმაციულ განყოფილებაში 13 პაციენტია მოთავსებული. აჭარაში გრიპის 2015-2016 წლის სეზონზე სულ 72 ნიმუში იქნა აღებული. 48 შემთხვევაში გრიპის ვირუსი დადასტურდა, 40 პაციენტი უკვე გამოჯანმრთელდა.

ე.წ. ღორის გრიპით საქართველოს მასშტაბით 11 ადამიანი გარდაიცვალა. **მედიანიუსი**

ზღვაზე თევზის მოსაშენებელი გალიები განთავსდება

საქართველოს საზღვაო სივრცეში მეწარმეობის განვითარების კუთხით პირველი ინოვაციური პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში ზღვაზე თევზის მოსაშენებელი გალიები განთავსდა, რაც შესაბამისი საზღვაო რეგულაციების დადგენის აუცილებლობას მოითხოვს.

როგორც სააგენტო „ნიუსპრესს“ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურიდან აცნობეს, თევზრეწვის აქტიურ პერიოდში ნაოსნობის ინტენსივობის ზრდა კონკრეტული საზღვაო რაიონისათვის საზღვაო ინციდენტებისა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად დახურული საზღვაო რაიონის სტატუსის მინიჭებასა და სანაოსნო რეგულაციებში გემების სამარშრუტო სქემების კორექციას საჭიროებს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში გაიმართა მუშა ჯგუფის მორიგი შეხვედრა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №57 დადგენილებაში „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ ცვლილებების პროექტის შესამუშავებლად.

შეხვედრას ჰიდროგრაფიულ სამსახურთან ერთად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის, სანაპირო დაცვისა და გარემოს დაცვის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნიუსპრესი

ეკა გიგაური: „იუსტიციის სამინისტროს მომზადებული კანონპროექტი საფრთხეებს შეიცავს“

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ხელმძღვანელ ეკა გიგაურის განცხადებით, საჯარო რეესტრის შესახებ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი საფრთხეებს შეიცავს.

გიგაურის თქმით, სახელმწიფო საკუთრებად დაირეგისტრირებს ყველა იმ მიწის ნაკვეთს, რომელზეც, საჯარო რეესტრის მონაცემებით, სხვა პირის უფლება არ დგინდება.

– შეიძლება ერთ წელიწადში დავდგეთ ისეთი მოცემულობის წინაშე, რომ ბევრი ჩვენი მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს წლების განმავლობაში მიწის ნაკვეთზე, ვერ მოახერხოს ამ მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია და, შესაბამისად, სახელმწიფომ შეიძლება განკარგოს ეს მიწის ნაკვეთი. ფაქტობრივად, ისინი დაკარგავენ თავიანთ საკუთრებას, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

ნიუსპრესი

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186. შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 4.027 რუსი მძლეოსანი დასაჯა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ სიაში ისეთი ცნობილი სპორტსმენები ფიგურირებენ, როგორებიც ელენა ისინბაევა, დარია კლიშინა და სერგეი შუბენკოვი არიან.

ქვეყანაში არსებული დოპინგ სკანდალის გამო რუსი სპორტსმენები მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გასამართ ტურნირებზე ვერ იასპარეზებენ და, შესაბამისად, ვერც რიო 2016-ზე გაემგზავრებიან.



შეგახსენებთ, რომ 9 ნოემბერს მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათლად ჩანს, რომ რუსეთი მოსკოვის 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ქვეყნის სპორტსმენების მიერ დოპინგის გამოყენების ფაქტს მალავს, რის გამოც რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციას საერთაშორისო ფედერაციის წევრობა შეუჩერდა, მოსკოვის ანტიდოპინგურ ლაბორატორიას აკრედიტაცია ჩამოერთვა, რუსეთის ანტიდოპინგურ სააგენტოს კი სტატუსი გაუუქმდა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

ასტროპროგნოზი
10 თებერვლისათვის

ვერძი – ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **ჯორო** – მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. დღის მეორე ნახევარში საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კეთილისმყოფელი იქნება. **ბყუპები** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. მოსალოდნელია კამათი გარშემომყოფებთან. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** – შესანიშნავი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად, ახალი იდეების განსახორციელებლად. ასევე წარმატებით დაგვირგვინდება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. **ლომი** – თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, ნუ გადაიღლებით.**ქალწული** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **სასწორი** – იდეების რეალიზებას შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ენერგიულობითა და სპონტანურობით გარშემომყოფებს გააოცებთ. **ღრიანკალი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა, რაც, შესაბამისად, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. ერიდეთ უსარგებლო კამათსა და საქმის გარჩევებს. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. მოთმინებით აღიჭურვეთ და საქმე ისე აკეთეთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. **მერწყული** – კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. თქვენი აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. **თევზები** – კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ.

გისუსხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 2. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 3. ძაფზე ასხმული სამკაული; 4. გუთნის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 10. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 12. დამუშავებული გეგმა; 15. იტალიური საკონდიტრო; 16. მდინარე ზუგდიდში; 17. მეომრის ლითონის თავსაბურველი; 20. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა.

თარაზულად: 6. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 7. ჭაობში მზარდი მწერიჭამია მცენარე; 8. შტატი აშშ-ში; 9. აეროპორტი მილანში; 13. ქართული სპორტული გაზეთი; 14. ამერიკული ჯიპი; 18. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 19. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 21. მბრუნავშამფურებიანი ელექტროლუმელი; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. მძიმე ტვირთების გადასატანი მისაბმელიანი ავტომობილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფისკალი; 2. კიშლაკი; 3. „რისლინგი“; 4. ჟუდეცი; 5. ზუგდიდი; 8. მინკუსი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. ერლიფტი; 16. ჟოეკვარა; 17. მანიანი; 19. იკორთა; 21. ბაწარა.

თარაზულად: 6. ჰინდუკუში; 7. სულგუნი; 8. მულინე; 10. სარქალი; 11. მიზა; 14. „გორდონსი“; 15. ოკულისტი; 18. მოსადი; 21. კატრანი; 22. „სააბი“; 23. ალპები; 24. ზამინდარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩანადირი; 2. „ზანდური“; 3. ბიეფი; 4. ბაირამი; 5. ნუსხური; 10. ჰამბურგი; 11. რეპორტიორი; 12. ევტერპე; 15. დრომადერი; 16. აგუერო; 17. რაზდანი; 20. სამბო.

თარაზულად: 6. ჟანდარმერია; 7. ფაიფური; 8. ბაიდარა; 9. დინარი; 13. რიწა; 14. თელავი; 18. სერვოლანი; 19. კამიუ; 21. იანძი; 22. შოპენი; 23. მინაშვილი; 24. ბრისტოლი.

მიხედეთ კულტურას!
ხელოვანების მოწოდება ხელისუფლებას

მას შემდეგ, რაც ნიკოლოზ რაჭველსა და ვახტანგ კახიძეს შორის დაპირისპირება გამოაშკარავდა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ქართულ კულტურაში არსებული პრობლემები.

მიხედეთ კულტურას! – ასეთი მოწოდებით გამოდიან ცნობილი ხელოვანები და მოუწოდებენ ხელისუფლებას, მიაქციონ ყურადღება იმას, რაც ჩვენს ქვეყანას სხვა დანარჩენი სახელმწიფოებისგან გამოარჩევს.

ნიკოლოზ რაჭველის მიერ ვახტანგ კახიძის წერილის გავრცელებამ მის მხარდამჭერებში გაოცება გამოიწვია.

ქართველების გარდა, რაჭველს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს უცხოელმა ხელოვანებმა, მათ შორის დირიჟორმა ჯანლუკა მარჩიანომ და მესაყვირე სერგეი ნაკარიაკოვმა. ანიტა რაჭველიშვილმა, ლიზა ბათიაშვილმა, სვიმონ ჯანგულაშვილმა, მაია დარსმელიძემ საჯაროდ გამოხატეს საკუთარი პოზიცია და განაცხადეს, რომ სახელმწიფო ორკესტრი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს.



ანიტა რაჭველიშვილი, საოპერო მომღერალი:

– ცხოვრების მანძილზე ყველაზე დიდ მუსიკოსებს და დირიჟორებს შევხვედრივარ! მითანამშრომლია და მიურთიერთია საუკეთესოებთან თანამედროვე მუსიკის ისტორიაში და თამამად ვიტყვი, რომ ნიკოლოზ რაჭველი დიდი მუსიკოსია, ისტორიაში რომ ჩაიწერება მისი შემოქმედება, სწორედ ისეთი! და ამ სამარცხვინო წერილს რაც შეეხება, ენას ძვალი არ აქვსო ნათქვამია და ეს ქაღალდიც გაიცვითება და ნაწერიც წაიშლება! სამაგიეროდ, ნიკა დარჩება ჩემი და ყველას უსაყვარლესს და გენიალურ მუსიკოსად!

ყველაზე სამარცხვინო ის ფაქტია, რომ ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ჯერ კიდევ შენობის გარეშეა, რომ არც ერთ საკონცერტო დარბაზში გამოსვლის უფლებას არ აძლევენ. და ეს ყველაფერი უბრალოდ ბინძური თამაშის გამო, რომელსაც დასასრული არ უჩანს! სად არიან და ვინ არიან ის კომპეტენტური პირები, ვისაც ევალდებულება, ვიმეორებ ევალდებულება, რომ დააბინაოს და მუსიკის შესრულების საშუალება მისცეს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს?!?!?!

მე ვშიშობ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დავიწყებ ამ თემაზე ლაპარაკს, იმაზე, რომ საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც პროცენტულად ყველაზე მეტ საოცარ მუსიკოსს ქმნის, მუსიკა და ხელოვნება ბინძური და ამაზრზენი პოლიტიკური და კლანური თამაშებით კონტროლირდება!

ლიზა ბათიაშვილი, მევიოლინე:

– მინდა უბრალოდ დავამატო, რომ ეს სამწუხაროდ ჩვენი საყვარელი ქვეყნის ტრაგედიააა... სადაც საერთოდ ნიჭს, გაბედულობას, თანამედროვე აზროვნებას და სხვის წარმატებას არა მარტო ძნელად ვიტანთ, არამედ ამ, არ ვიცი რა დავარქვა, უარყოფით გრძნობებს იქამდე მივყავართ, რომ ასეთი შეურაცხყოფა უნდა მივაყენოთ კოლეგებს. მაგრამ დადგება დღე, როდესაც ესეც გაივლის და ის დადებითი ენერგია მოიგებს, რომელიც ძალიან ბევრ ქართველ ადამიანში დევს!

მაია დარსმელიძე, მუსიკოსი:

– ამის მთქმელი შენ ვერაფერს დაგაკლებს. პირიქით, თავად გაიშიფრა, თან ძალიან სამარცხვინოდ: ამ სიტყვების ქვეტექსტში ბოლო ხმაზე ხავის შური, ბოღმა და კონკურენციის შიში. მეტი არაფერი. მე კი ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ქვეყანას ჰყავს ნიკოლოზ რაჭველი. მიყვარხარ მაესტრო!

რაც არ უნდა არ გიყვარდეს ნიკა, დაუშვებელია, რომ ასე მოექცე სახელმწიფო ორკესტრს, რომელშიც ძალიან ბევრი ევროპიდან დაბრუნებული ახალგაზრდა მუსიკოსია.

არ შეიძლება, მხოლოდ ოპერას და თბილისის ორკესტრს ეხმარებოდე, მხოლოდ მათ ურემონტებდე შენობებს, მხოლოდ მათთვის ყიდულობდე ინსტრუმენტებს, მხოლოდ მათ უზრდიდე ბიუჯეტს და ამავე დროს სწირავდე ქვეყნის მთავარ და უძველეს ორკესტრს.

ცხადია, რომ ამ პოლიტიკაშიც ვიღაცის პირადი ინტერესი და ნიკას მიმართ სიძულვილი ურევია. მაგრამ, მათ, ვისაც სძულთ ნიკა, დასაშვებია, რომ აქვთ ამის სრული უფლება, თუმცა, ეს სატანურია და არაეთიკური, მაგრამ, არანაირი უფლება არ აქვთ, ჩაგრავდნენ და სძულდეთ ორკესტრიც და ასეთ პირობებში, უკეთ, ასეთ უპირობობასა და საშინელებაში ამყოფებდნენ მას.

ვინც ამ ყველაფრის სათავეშია, ის უბრალოდ შემცდარია და სიძულვილს არის აყოლილი, ულმერთოდ და უსიკეთოდ იქცევა და მათთვის ლოცვაა საჭირო.

და ხელისუფლებამ კი, თუ ის ნამდვილად გვყავს, და თუ კულტურის პოლიტიკა მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირება არაა, უნდა მიხედოს ყველა ხელოვანს, ყველა სახელოვნებო კოლექტივს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ემსახურება ქართულ კულტურას.

არ შეიძლება, რომ ფეხბურთში ჩვენნაირი ქვეყანა ხარჯავდეს 265 მილიონს და ერთადერთ რეალურ მიღწევასა და სიმაღლეში, რაც გაგვაჩნია, ხელოვნებაში, მუდამ ასეთი პრობლემები იყოს.

ნანი ბრეგვაძე ახალ სიმღერაზე მუშაობს

რუსეთში გამართული კონცერტების შემდეგ, მომღერალი ნანი ბრეგვაძე ახალ სიმღერაზე მუშაობს. „ბრავო რექორდსში“ დავით მაზანაშვილის მიერ ახლებურად არანჟირებული გოგი ცაბაძის სიმღერა იწერება.

სიმღერა „გზები მაინც გამინათე მთვარეო“ მორის ფოცხიშვილის ლექსზე გიორგი ცაბაძემ ყველასათვის საყვარელი მიუზიკლისთვის „ვერის უბნის მელოდიები“ შექმნა.

ამჯერად მომღერალი მის განახლებულ ვერსიას წერს. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით სულ მალე სიმღერა ნანი ბრეგვაძის, ეკა მამალაძის და ნატალია ქუთათელაძის შესრულებით იქნება წარმოდგენილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ტოკიოს ზოოპარკის თანამშრომლებმა კოლეგა ზებრას კოსტიუმში გამოაწყვეს

ტოკიოს ზოოპარკის უენოს 150-ზე მეტმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა ზებრას კოსტიუმში გამოწყობილი ადამიანის სასწავლო დევნაში. ეს იმ მიზნით განხორციელდა, დაიხვეწოს ვოლიერიდან მიწისძვრის შემთხვევაში ნამდვილი ცხოველის გაქცევის მცდელობის აღკვეთა. გაქცეული ცხოველის როლი ზოოპარკის 27 წლის თანამშრომელმა იუმი ტამურამ შეასრულა.

ტამურამ სწავლების სიუჟეტის თანახმად, დანგრეული ვოლიერიდან ცხოველის გაქცევა განასახიერა და ასევე თითქოსდა ამ გაქცევის დროს ზოოპარკის ერთ-ერთი თანამშრომელი დააშავა. სწავლების შედეგად ზებრას კოსტიუმში გამოწყობილი თანამშრომელი ბადეში გაახვიეს და სატვირთო მანქანაზე დატვირთეს.

– ზებრა ისეთი ცხოველია, რომელსაც ადვილად იპყრობს პანიკა. მე თავადაც კი ვგრძნობდი მსუბუქ პანიკას, როდესაც ზებრას განვასახიერებდი, – განაცხადა ტამურამ.

აღნიშნული სწავლება ზოოპარკში ყოველწლიურად იმართება. ადრე ასეთივე ხერხით იჭერდნენ გორილას, ლომის, მარტორქისა და სხვა ცხოველების კოსტიუმებში გამოწყობილ ადამიანებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო სახლი „იმედის კლინიკა“ თანაუგრძნობს სერგო მათითაშვილს

მამის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.

„ერისიონი“ ჩინურ ფესტივალზე მიიწვიეს

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი“ ჩინური ახალი წლის გაზაფხულის ფესტივალზე მიიწვიეს. „ერისიონის“ მთავარი დირიჟორი ჯემალ ჭკუასელი კი საზეიმო მიღებაზე საპატიო სტუმრის სტატუსით დაპატიჟეს. ჯემალ ჭკუასელმა საქართველოში მცხოვრებ ჩინელებს ახალი წელი მიულოცა. გაზაფხულის ფესტივალი ჩინური და ქართული ჰიმნებით გაიხსნა, რომელიც ანსამბლ „ერისიონის“ მომღერალთა გუნდმა შეასრულა. ანსამბლმა ჩინური ახალი წლის ფესტივალზე სპეციალურად ჩინური ახალი წლისთვის მიძღვნილი მუსიკალური შოუ-პროგრამა წარადგინა.

– ჩინური ახალი წელი, იგივე გაზაფხულის ფესტივალი, მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც ჩინეთში და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ჩინური დიასპორა აღნიშნავს. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამ ფესტივალის საპატიო სტუმრები აღმოვჩნდით და შევასრულეთ ჩინური და ქართული ჰიმნები, – განაცხადა ჯემალ ჭკუასელმა.

ჩინელებს ახალი წელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, თბილისის მერმა, დეპუტატებმა, ბიზნეს წრეების წარმომადგენლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მიულოცეს. „გაზაფხულის ფესტივალის“ სადღესასწაულო წვეულებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით ჩინეთის ელჩმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართეს.

დაკარგული კატა გასუქებული იპოვეს

დიდი ბრიტანეთის საგრაფო ნოტინჰემშირში ნორვეგიული ტყის ჯიშის კატა, სახელად კლაივი, რომელიც 14 თვეზე მეტი ხნის მანძილზე იყო დაკარგული, ორმაგად გასუქებული იპოვეს. მთელი ამ დროის განმავლობაში ის ადგილობრივი ჰიპერმარკეტის მახლობლად იყო დაბინავებული, რომელშიც ასევე ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტებიც იყიდებოდა.

დაკარგული ცხოველი მაღაზიის თანამშრომლებმა იპოვეს. მათ კატა ვეტერინარს მიუყვანეს, სადაც მისთვის ჩანერგილი ჩიპის წაკითხვა მოხერხდა, რისი წყალობითაც გაირკვა მისი სახელი და პატრონების მისამართი.

ორი წლის კატა ტანი და ჯონათან აირონსების სახლიდან დაიკარგა. წყვილი მის პოვნას შეეცადა და მთელ ოლქში გამოაკრეს განცხადებები, ასევე განცხადება შინაური ცხოველის დაკარგვის თაობაზე განათავსეს ფეისბუქშიც, მაგრამ ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო.

– ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ადამიანები მას არ მოაშივებდნენ და საკვებს მისცემდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, საკვების მოპოვებას თავადაც კარგად ართმევდა თავს. მას შესანიშნავი მადა აქვს. თუ მას მთელ შეკვრა საკვებს დავუტოვებ, ის არ გაჩერდება, სანამ ბოლომდე არ შეჭამს, – განაცხადა ტანი აირონსმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 10 თებერვალი

06.30 მუსიკა I არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება ანდალუზიაში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** "ეპოქის ფრაგმენტი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**კეთილი იყოს შენი დაბრუნება როსკო ჯენკინს**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოქრო წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **3** სერ. **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **10** სერ. **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**დამრიგებელი**" (მ.სტრიპი) **02.25** მხ/ფ "**რევოლვერი**" (რ.ლიოტა) **04.15** ერთხელ საქართველოში **05.00** მხ/ფ "**დღის ცივი შუქი**" (ბ.უილისი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **09.00** Discovery. არაჩვეულებრივი ძმები კულინარები **10.00** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ახალი გოგო**". სეზ. **4**, სერ. **15, 16 15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" სეზ. **4**, სერ. **15, 16 15.30** Discovery ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** მხ/ფ "**დონ ჟუან დე მარკო**" **00.15 ID Extra** სასჯელს თითქმის გავექეცი **01.15, 03.00 URBAN STORIES 02.05,** ჯიდიპედია

06.10 მუს. პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" **15.10** ქართ ან/ფ **15.20** დ/ფ **16.00** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მონანიება**"II სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ჟუჟეი და ბუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** "თეკუნას კულინარიუმი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**გჯეროდეს**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.4874

ევრო — 2.7782

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5973

100 რუსული რუბლი — 3.2342

ამინდის პროგნოზი 10 თებერვლისთვის

სტინგი თბილისში ჩამოდის



ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსი და მომღერალი სტინგი თბილისში ჩამოდის. 27 და 28 თებერვალს ის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ თბილისს დაუბრუნდება ცნობილი ამერიკელი მესაყვირე კრის ბოტიც, რომელიც სტინგს გაუწევს აკომპანიმენტს და მისი რეპერტუარიდან საუკეთესო კომპოზიციებს შეასრულებს.

64 წლის მუსიკოსი და მომღერალი საქართველოში არაერთხელ არის ნამყოფი. თბილისსა და ბათუმში მან კონცერტები კომპანია „ისთერნპრომოუშენსის“ ხელშეწყობით გამართა. ამჯერად სტინგი და კრის ბოტი თბილისში „სოლოს“ მომხმარებლებისთვის ჩამოდის. კრის ბოტი თბილისში რამდენიმე კვირის წინ იმყოფებოდა, რომელმაც ქართველ საოპერო მომღერალ ოთარ ჯორჯიასთან ერთად ორდღიანი კონცერტები დიდ საკონცერტო დარბაზში ჩაატარა.

როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, ამ კონცერტებზე დასწრება მხოლოდ სოლოს მომხმარებლებს შეეძლებათ, რიგითი მსმენელები მასზე ვერ მოხვდებიან. გავრცელებული ინფორმაციით, ბილეთის ფასი 200-დან 600 ლარამდეა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



9 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

საქართველოს გეოგრაფიული ატლასი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

კალეიდოსკოპი

გაუპატიურების ლეგალიზაციის მომხრეებმა შეხვედრები გადადეს

ანტიფემინური მოძრაობის ლიდერმა, რომელიც გაუპატიურების ლეგალიზებას ითხოვს, განაცხადა, რომ მომხრეებთან შეხვედრები, რომლებიც მსოფლიოს 43 ქვეყნის 165 წერტილში იყო დაგეგმილი, გადაიდო, ვინაიდან „უსაფრთხოების“ გარანტია არ არსებობდა. ამ ინფორმაციას ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ავრცელებს დარიუშ ვალიზადეხი.

– მე აღარ შემიძლია უსაფრთხოების გარანტია მივცე იმ მამაკაცებს, რომლებიც შეხვედრაზე (მიტინგი) მოსვლას გეგმავდნენ, ვინაიდან შეხვედრების ადგილი საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს მე ხელს ვერ შევუშლი მამაკაცებს, რომლებიც მაინც გადაწყვეტენ შეხვედრას, თუმცა მას ჩვენი ორგანიზაციის ოფიციალური ღონისძიების სახე არ ექნება, – დაწერა 35 წლის ვალიზადეხმა.

შეხვედრების ადგილების სია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე იქნა გამოქვეყნებული. როდესაც ეს ინფორმაცია მას მედიისთვის გახდა ცნობილი, მრავალმა საზოგადო მოღვაწემ და ორგანიზაციამ საპროტესტო აქციების დაგეგმვა დაიწყეს. მაგალითად, ავსტრალიაში ონლაინ-პეტიციას, რომელიც ქვეყანაში ვალიზადეხისთვის შესვლის აკრძალვას მოითხოვდა, 100 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. კანადის ქალაქ ვანკუვერის მერმა მის ქალაქში ამგვარი თავყრილობის გამართვა სრულიად დაუშვებლად მიიჩნია.

იტალიელმა ცოლს სასამართლოში უჩივლა

იტალიის ლაციოს პროვინციის მცხოვრებმა მამაკაცმა თავისი მეუღლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში იმის გამო შეიტანა, რომ მას საჭმელების მომზადება და სახლის დალაგება არ ეხერხება. ქალს საკუთარი ოჯახის მიმართ სასტიკ მოპყრობაში წაუყენეს ბრალი.

40 წლის ქალს, რომლის ვინაობა უცნობია, შესაძლოა ექვს წლამდე პატიმრობა მიესაჯოს. მისმა 47 წლის მეუღლემ განაცხადა, რომ უკვე ორ წელზე მეტია იტანჯება იმის გამო, რომ მისი ცოლი ოჯახურ საქმიანობას თავს ვერ ართმევს.

იტალიელმა მამაკაცმა ასევე განაცხადა, რომ ის საწოლი ოთახიდანაც გამოაძევა და იძულებული იყო ანტისანიტარიულ პირობებში ეცხოვრა. მან ასევე დაამატა, რომ იმის გამო, რომ მისმა მეუღლემ საჭმელების გაკეთება არ იცის, შეძენილი პროდუქტები ფუჭდება და იძულებული ხდება ისინი ნაგავში გადაყაროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზეპ ბლატერი: „მე და პლატინი ზედმეტად გავლენიანები ვიყავით და ამიტომ გაგვისწორდნენ“

ფეხბურთიდან 8 წლით მოკვეთილი ფუნქციონერები იოზეპ ბლატერი და მიშელ პლატინი რუსეთის 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დაპატიჟებული იქნებიან. ამის შესახებ რუსეთის სპორტის მინისტრმა ვიტალი მუტკომ ისაუბრა.

– ფორმალურად მათ მსგავსი საქციელის უფლება არ აქვთ, მაგრამ წარმოიდგინეთ, მსოფლიო ჩემპიონატია და პლატინის დონის ფიგურა მას არ ესწრებოდეს?! მათ აუცილებლად დავპატიჟებთ და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, – აღნიშნა მუტკომ რუსულ პრესასთან საუბარში.

შეგახსენებთ, რომ უეფასა და ფიფას ყოფილი ხელმძღვანელები ამ უკანასკნელის სადისციპლინო კომიტეტმა კორუფციულ სკანდალში მონაწილეობისთვის საქმიანობას 8 წლით ჩამოაშორეს.

ამასობაში, ფიფას შერისხულ პრეზიდენტ ზეპ ბლატერის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელიც საკმაოდ ვრცელია, მაგრამ მის შემოკლებულ ვარიანტს შემოგთავაზებთ.

– ფიფას ეთიკის კომიტეტმა თქვენ და მიშელ პლატინი 8 წლით მოგკვეთათ ფეხბურთიდან. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენად მიზანშეწონილია არჩევნების 2016 წლის 26 თებერვალს ჩატარება?

– რა თქმა უნდა, არჩევნები უნდა გადაიდოს, რაც მთავარია, დაზუსტებით არ ჩანს, თუ რა სახის შეზღუდვები მოჰყვება სანქციებს, რომელიც ფიფასა და უეფას პრეზიდენტების წინააღმდეგ მიიღეს. ასევე არ გაითვალისწინეს ფიფას სააპელაციო კომისიისა და სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს, ორი ავტორიტეტული ორგანოს განაჩენი და გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღეს. ჩვენ კი ასე უბრალოდ ვერ დავთანხმდებით და ვერ მივიღებთ ბრალდებას. ეთიკის კომიტეტმა აღნიშნა, რომ პლატინისა და ბლატერს შორის არანაირი სიტყვიერი შეთანხმება არ ყოფილა ორ მილიონ შვეიცარიულ ფრანკთან დაკავშირებით. ორივე არასერიოზულ ადამიანად გამოგვიყვანეს და მატყუარები გვიწოდეს, ეს კი მტკივნეული მოსასმენია. დარწმუნებული ვარ, მიშელსაც ანალოგიური რეაქცია აქვს. დაგვკითხეს, მაგრამ არც კი მოგვისმინეს და გადაწყვეტილება მიიღეს. ცოტა არ იყოს, გულის ამრევია.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

იუმორი

ცოლი და ქმარი ზღვაზე ისვენებენ. ქალი ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდას თვალს არ აშორებს. ქმარი შეამჩნევს და ეუბნება:

– ტყუილად მიაშტერდი, გაიხსენე, ჩვენ მეზობელს ორმანქანიანი „გარაჟი“ აქვს, მაგრამ შიგნით ერთი დამტვრეული ველოსიპედი უგდია...

●●●

საბერძნეთში სამუშაოდ წასული ქალი ორი წლის შემდეგ მოულოდნელად დაბრუნდა სახლში. კარი შეაღო და ხედავს, მისი ქმარი საცვლების ამარა დგას კართან. ამ დროს საძინებლიდან ხალათში გამოწყობილი მისი ძმაკაცი გამოვიდა. ქალმა ამის დანახვაზე იკივლა:

– ახლა საცხაიდან ქალები დამანახეთ, არ გადამრიოოთ...

●●●

ექიმმა ავადმყოფს წამალი გამოუწერა და ეუბნება:

– ამ წამალს დღეში სამჯერ მიიღებთ ჭამის შემდეგ.

– დღეში სამჯერ რომ ვჭამდე ექიმო, ავად რაღა გამხდიდა...

●●●

ენაბლუ ტაქსს აჩერებს და უნდა ამბროლაურში წაყვანა სთხოვოს:

– ბიიიიიიიძიე, ამ... აამ... ააააამ... ააააააააამ...

– არ მიკბინო და სადაც მეტყვი, იქ წაგიყვან.

●●●

თბილისში ჩამოსულმა სოფლელმა ორი მეძავი აიყვანა, მაგრამ მოულოდნელად პოლიცია დაადგა თავზე.

– შენ ვინ ხარ? – ეკითხებიან ერთ ქალს.

– მე მასაჟისტი ვარ...

– შენ? – მიუბრუნდნენ მეორეს.

– მე პედიკიურს ვაკეთებ...

სოფლელი გადაირია:

– აგენი ისე ლაპარაკობენ, რომ ბოლოს მეძავად მე გამომიყვანენ!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რაცხა ამ არაყმა თავი ამატკივა.

– აბა რა იქნება, ოც გრამ ჭკუას სამას გრამ არაყს რომ დაასხამ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმების ქსოვილებს; 4. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 8. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 9. უღელტეხილი კავკასიონზე; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. სოხუმის აეროპორტი; 17. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. დენის ძალის საზომი ერთეული; 20. საფარიკაო სპორტული იარაღი.

თარაზულად: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 10. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 11. ცხენების ჯოგი; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 23. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 24. ლუდსახარში საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა